ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები
VI

გიორგი ოთხმეზური

# XII — XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო

მეცნიერება
თბილისი
1981

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედ. მოადგილე).

სერიის რედაქტორი ზ. ალექსიძე
ტომის რედაქტორი ნ. შოშიაშვილი

4 V+9 (C 41)
81.2 Гр+63.3 (2 г)
299.962.1—7+9 (47.922) (001)
т 394

ნაშრომში, სხვა წყაროებთან შეჯერებით, გაანალიზებულია XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისის ქართული ლაპიდარული წარწერების ცნობები ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე. წარმოჩინებულია ამ პერიოდის ქართული დამწერლობის ზოგი თავისებურება; განხილულია ლაპიდარული წარწერების ტიპები, რომელთა შორის საგანგებოდაა გამოყოფილი ხელის გამოსახულებიანი სტელები, რომელნიც წარმოადგენენ სამეფო და საუფლისწულო მიწისმფლობელობის დამადასტურებელ იურიდიულ აქტებს. წარწერათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია სამეფო დომენის გამგებლობაში მონაწილე მოხელეთა ქრონოლოგიური რიგი, ეპიგრაფიკული ძეგლების გადათარიღებით დაზუსტებულია ამ პერიოდის ზოგი ისტორიული მოვლენის ქრონოლოგია.

გამოკვლევას ერთვის აღნიშნული პერიოდის უმთავრესი ეპიგრაფიკული ძეგლების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები, გრაფიკული მონახაზები და ფოტოები.

10602
М 607 (06)—81 143—81

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1981

## წინასიტყვაობა

XII საუკუნის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდა.

წარმოდგენილი ნაშრომი წყაროთმცოდნეობით ხასიათს ატარებს. მასში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ანალიზი — ტექსტის დადგენა, დათარიღება, პალეოგრაფიული ანალიზი. ამ ძეგლების ტექსტის შესწავლის საფუძველზე განხილულია მათში დაცული ცნობები საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ისეთ საკვანძო პრობლემებზე, როგორიცაა: სამეფო და საუფლისწულო მიწათმფლობელობა, სამოხელეო წყობა, დადგენილია რიგი ისტორიული ფაქტების ქრონოლოგია და სხვა.

XII ს. დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს მ. ბროსემ ექ. თაყაიშვილმა, მ. ჯანაშვილმა, ივ. როსტომაშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, თ. ბარნაველმა, ვ. ცისკარიშვილმა და სხვა მკვლევრებმა. მათ შრომებში არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლია გამოცემული და შესწავლილი, მაგრამ ამ გამოცემებს რიგი ნაკლოვანებებიც ახლავს (ზოგი ტექსტი არაა სწორად წაკითხული, აკლია ფოტოები, გრაფიკული მონახაზები, პალეოგრაფიული ანალიზი).

ნაშრომის მიზანია შეავსოს ქართულ წყაროთმცოდნეობაში არსებული ეს ხარვეზი. ამასთანავე, მასში მოცემულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ცდა.

ამ ეპიგრაფიკული ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელის გამოსახულებიანი სტელები, ე. წ. „ჰელები", რომლებიც სამეფო აქტებს წარმოადგენენ.

„ჰელებისა" და სხვა ეპიგრაფიკული ძეგლების საშუალებით შევეცადეთ დაგვედგინა სამეფო დომენის ფარგლები, მისი გამგებლობის სისტემა და მეფის ხელში მათი გადასვლის ისტორია.

ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით ჩანს, რომ მეფე ცდილობს ერთმანეთს დაუკავშიროს, ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად აქციოს თრიალეთი და ჯავახეთი და მოაქციოს ის თავის გამგებლობის ქვეშ, ჯერ როგორც საერისთავო, ხოლო შემდეგ — როგორც სამეფო დომენი.

XII—XIII სს-ის მიჯნაზე აღნიშნული მხარე იქცა ლაშა-გიორგის საუფლისწულო მამულად (ლაშა-გიორგის „ჴელები"), ხოლო ლაშას გამეფების შემდეგ კი — სამეფო დომენად (რუსუდანისა და ულუ დავითის „ჴელები").

ეპიგრაფიკული მასალა მოწმობს, რომ საუფლისწულო დომენის გამგებლობაში მონაწილეობენ უხუცეს-ვაზირები* ხოლო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ამასთანავე, სამეფო მონასტრების გამგებელიც ჩანს.

უხუცეს-ვაზირების ინსტიტუტი საკმაოდ ვრცლადაა შესწავლილი ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის და შ. მესხიას მიერ. ჩვენი მიზანია უხუცეს-ვაზირთა ქრონოლოგიაში რიგის დადგენა აღნიშნულ პერიოდში. ამ საკითხზე ცნობები მოიპოვება სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც.

შრომაში ახლებურადაა დათარიღებული ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი. გადათარიღებულია აგრეთვე რამდენიმე ისტორიული მოვლენა.

---

* ამ საკითხზე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, კერძოდ ის, რომ XII—XIII სს-ის მიჯნაზე უხუცეს-ვაზირთა ინსტიტუტი საქართველოში არ არსებობდა, იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1977.

## ეპიგრაფიკული აქტები (ჴელის გამოსახულებიანი სტელები)

### 1. ისტორიოგრაფია

საქართველოში არსებულ ხელის გამოსახულებიან სტელებზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ნ. ბერძენიშვილი, ვ. ცისკარიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია ძირითადად განიხილავენ „ხელიანი" სტელების მნიშვნელობას, მათი გავრცელების ადგილს და ქრონოლოგიურ საზღვრებს.

ნ. ბერძენიშვილი ნაშრომში „მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში" განიხილავს საერთოდ „ჴელს" წინაქრისტიანული ხანიდან XVIII ს-მდე. მკვლევარი ჯერ განიხილავს XVIII ს-ის „ჴელის ამართვის" დოკუმენტებს. იგი თვლის, რომ „ჴელის ამართვა" ხდება სასამართლოს დადგენილებით და ხელისუფლების ბრძანების თანახმად და ნიშნავს ამა თუ იმ პირის უფლების უარყოფას ან ასეთი უფლების დამტკიცებას[1]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ჴელი" ეწოდებოდა მიწაზე უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს და „ჴელის ამართვაში" იგულისხმებოდა მამულზე უფლების განცხადება და ამ უფლების განცხადების ნიშნად მატერიალური ძეგლის დასმა[2], ხოლო „ჴელს ამართავდა" ხელისუფლების მიერ დანიშნული პირი[3].

განიხილავს რა „ჴელის ამართვის" დოკუმენტებს, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე (მიუხედავად იმისა, რომ „ჴელის ამართვის" დოკუმენტები XVIII ს-ზე ადრინდელი არ მოგვეპოვება), რომ „ჴელის ამართვა" ძველი დროიდან მოდის[4], კერძოდ, იმავე ასაკისაა, რაც მიწის კერძო საკუთრების დამცველი პოლიტიკური

[1] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, სის, ტ. 3, 1966, გვ. 138.

[2] იქვე, გვ. 143—144.

[3] იქვე, გვ. 148.

[4] იქვე, გვ. 158.

ორგანიზაცია, სახელმწიფო[5]. ამ ვარაუდის განსამტკიცებლად მკვლევარი განიხილავს ძველი ხანის ძეგლებს, რომლებზეც გამოსახულ სხვადასხვა ნიშანთაგან საერთო (და უმთავრესი) არის ხელის გამოსახულება[6]. ნ. ბერძენიშვილს უეჭველად მიაჩნია მეფეთმეფის გიორგის „ჭელი"-ს (გუნია-ყალას წარწერა) კავშირი გვიანფეოდალურ სამამულო „ჭელთან". რადგან ორივე ეს „ჭელები" ამა თუ იმ პირის უფლების ნიშნად ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით მამულზე (მიწის ნაკვეთზე, სოფელზე, მხარეზე) დასმული ძეგლებია[7].

XIII ს-ის „ჭელი" XVIII ს-თვის „ჯუარით" შეიცვალა[8] და მთავარი მნიშვნელობა ამ ნიშანზე ჯვარს ჰქონდა, ხოლო „ჭელი" მას იურიდიულად ტრადიციულად ეწოდებოდა[9].

მკვლევარი განიხილავს „წყისეს ჯვრის" წარწერას და იგი იმის მოწმობად მიაჩნია, რომ ქრისტიანობის „პირველ ხანებში" (V—VIII სს.) სალოცავად აღმართული ჯვრები მიწის საკუთრების მაჩვენებელიცაა[10].

ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, თუ მივიღებთ, რომ „ჯვარი, როგორც სამამულო მფლობელობის მატერიალური ნიშანი, „ჭელსა" ცვლის, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ „ჭელის" ინსტიტუტი ჩვენში ჯერ კიდევ ქრისტიანობის საყოველთაო გაბატონებამდე შემუშავებულა[11].

შემდგომ მკვლევარი ცდილობს ახსნას, თუ რატომ ხდება „ჭელის" გაქრობა. მისი აზრით „ჭელი" როგორც თავისი იურიდიული შინაარსით, ისე ფორმით არაფრით განსხვავდებოდა უძველესი ქართული დიპლომატიკური ტერმინისაგან „დაწერილი". ამიტომაც დროთა განმავლობაში ტერმინი „დაწერილი" თანდათან იჭერს „ჭელის" ადგილს[12].

ვ. ცისკარიშვილი ნაშრომში „ჯავახეთის ეპიგრაფიკა" განიხილავს ხელის გამოსახულებიან სტელებს, მათ მნიშვნელობას, გავრცელების ადგილსა და დროს. მკვლევრის აზრით, სტელებზე

---

[5] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.
[6] იქვე, გვ. 159.
[7] იქვე, გვ. 163.
[8] იქვე.
[9] იქვე, გვ. 164.
[10] იქვე, გვ. 165.
[11] იქვე, გვ. 165.
[12] იქვე, გვ. 190.

ამოკვეთილი წარწერები გვაქვს წინაქრისტიანული ხანიდან[13], და ეს სტელები სამლოცველო დანიშნულებასთან ერთად, სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნად იქცევიან ფეოდალური მიწათმფლობელობის გაღრმავებისას[14].

მკვლევარს მეჯუდის ხეობის წარწერა (X ს.) და ზემო კრიხის ეკლესიის წარწერა (XI ს.) მიაჩნია იმის დამამტკიცებელ საბუთებად, რომ X—XI სს. „ჯელი“ უკვე სპეციალური ტერმინია, რომელიც მხოლოდ ქვაზე ამოჭრილი იურიდიული ხასიათის საბუთების აღსანიშნავად იხმარება[15]. „ჯელი“ იურიდიული ხასიათის ქვის საბუთის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე XIII ს-ის სტელების (ხელის გამოსახულებიანი ქვების) წარწერებში. განსხვავება იმაშია, რომ V—XI სს. ყველა სტელა საეკლესიოა, ხოლო XIII ს. კი—ყველა სამეფო[16], ხოლო ჰგვანან ისინი ერთმანეთს იმით, რომ ორივე ეს სტელა სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელია (აქ ავტორი იზიარებს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ ხელიანი სტელები სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელო ნაშთებია)[17].

ვ. ცისკარიშვილი აღნიშნავს, რომ ამ სტელებს „ჯელი“ ეწოდება, რაც ფეოდალურ საქართველოში უფლების გამომხატველი იმდენად ძლიერი სიმბოლო იყო, რომ ზოგიერთ სტელაზე საერთოდ არაა წარწერა, ხელის გამოსახულება საკმარისადაა მიჩნეული მათთვის გარკვეული შინაარსისა და დანიშნულების მისაცემად[18].

მკვლევარი განიხილავს აგრეთვე სტელებს ზოგადად, ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით და ყოფს მათ შემდეგ ჯგუფებად: 1) წინაქრისტიანული ხანის სტელები; 2) ადრეფეოდალური ხანის საეკლესიო შინაარსის სტელები (V—XI სს.); 3) XII—XIII სს. სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი ხელის გამოსახულებიანი სტელები; 4) XIV—XVIII სს. სამლოცველო მნიშვნელობის ქვები, ან სამიჯნე ქვები-სამანები[19].

შემდგომ ვ. ცისკარიშვილი განიხილავს იმ ტერმინებს, რომლებიც ნაწარმოებია „ჯელიდან“: I. „ჯელი“, როგორც უფლე-

---

[13] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 70.

[14] იქვე, გვ. 74.

[15] იქვე, გვ. 76—77.

[16] იქვე, გვ. 79.

[17] იქვე, გვ. 80.

[18] იქვე.

[19] იქვე, გვ. 83—84.

ბის, ძალის აღმნიშვნელი ტერმინი; II. „ჴელი“, როგორც მაგიური მნიშვნელობის ტერმინი; III. „ჴელის“ პირდაპირი მნიშვნელობიდან ნაწარმოები ტერმინები[20]. როგორც მაგიური, ისე უფლებისა და ძალის მნიშვნელობა „ჴელმა“ მიიღო ხელის პირდაპირი მნიშვნელობიდან. როცა ესა თუ ის მოქმედება გამომდინარეობდა ღმერთიდან ან ანგელოზიდან, მაშინ „ჴელი“ ღებულობდა მაგიურ მნიშვნელობას, ხოლო თუ მოქმედება დაკავშირებული იყო ადამიანის ხელთან, მაშინ ის ღებულობდა უფლების მნიშვნელობას[21]. „ჴელი“ უფლებისა და ძალის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე გამოსახულების სახით. ასეთი „ჴელი“ ცნობილია მხოლოდ XII—XIII სს. სტელებზე[22].

დღემდე მოღწეული 14 ხელიანი სტელა ისტორიული ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდანაა. ეს „ჴელები“ ჩნდება XII ს-ის ბოლოს და XIII ს-ის შემდეგ აღარ გვხვდება. მკვლევრის აზრით, ამის მიზეზია ის, რომ თრიალეთ-ჯავახეთის ერთი ნაწილი XIII ს-ის II ნახევარში სამეფო დომენად გადაიქცა, ხოლო XIV—XV სს-ში — პროვინციულ სამეფოდ. „ჴელიანი“ სტელები ამ მხარეში დაისმება მისი სამეფო დომენად გადაქცევასთან ერთად და აღარ დაისმება მას შემდეგ, რაც ის სამეფო დომენიდან ცალკე „პროვინციულ სამეფოდ“ იქცა[23].

ამავე საკითხისადმია მიძღვნილი ლ. მელიქსეთ-ბეგის სტატია „Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии“, რომელშიც მკვლევარი განიხილავს ყველა არსებულ სტელას და ამის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს მათი გავრცელების დრო და ადგილი. ჩამოთვლილი აქვს „ხელიდან“ ნაწარმოები ტერმინები. „ჴელის“ გამოსახულებიანი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების განხილვის შემდეგ ავტორი ასკვნის: „ისტორიული საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხელის გამოსახულება ძირითადად გვხვდება ფეოდალური ფორმაციის პერიოდში განსაკუთრებით მოწიფულ და გვიან შუა საუკუნეებში. ქრონოლოგიური ჩარჩოები — IX—XIX სს“[24].

---

[20] ვ. ცისკარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 87—89.

[21] იქვე, გვ. 89.

[22] იქვე, გვ. 91.

[23] იქვე, გვ. 93.

[24] Л. Меликсет-Бек, Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, კრებული: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, 1957, გვ. 126—127.

ლ. მელიქსეთ-ბეგი ძეგლებს განხილვისას აჯგუფებს ტერიტორიულად (მოპოვების ადგილის მიხედვით), რის შემდეგაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ გეოგრაფიული განლაგებით ხელის გამოსახულება ძირითადად დაფიქსირებულია ქართლში (აღმოსავლეთ საქართველო), ამასთან, განსაკუთრებით ქვემო ქართლში"[25].

მკვლევარი თვლის, რომ ხელის გამოსახულება მოიპოვება ორი სახით: „1) ცალკე, ანდა 2) კომპლექსში სხვა ემბლემებთან"[26].

ავტორი იზიარებს თვალსაზრისს, რომ „ჴელი" ძალაუფლების ნიშანია და ეთანხმება ნ. ბერძენიშვილს, რომ „ჴელი", როგორც საკუთრების უფლების მატერიალური ან წერილობითი ნიშანი, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობაა"[27].

ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია ნაშრომში „ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული" იხილავენ ხელის როლს ხევსურულ გვაროვნულ საზოგადოებაში და მიაჩნიათ, რომ ამ საზოგადოებაში ჴელს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ამის დამამტკიცებელია ის, რომ სისხლის აღების დროს მოკლულს მარჯვენა ხელის მტევანს მოაჭრიდნენ და სახლის გარეთა კედელს მიაკრავდნენ[28]. ავტორები იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ გაშლილი ხელის მტევანი სიმტკიცისა და უფლების ნიშნად იყო მიჩნეული[29]. მკვლევართა აზრით, ხელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენობრივადაც: იგი აღნიშნავდა იარაღსაც, თანამდებობასაც, უფლებასაც და სხვ[30]. განხილული მასალის საფუძველზე ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხელი, ერთი მხრით, მაგიურ-აპოთროპიული დანიშნულებისაა, ხოლო, მეორე მხრით, ძალისა და სიმტკიცის სიმბოლო[31].

## 2. ძველი ქართული სტელების სახეები

ძველ საქართველოში სტელები ძირითადად 5 სახისა იყო:

1. ბრტყელი ქვის სტელები ზედ საერო შინაარსის წარწერებით (წინაქრისტიანული ხანა);

---

[25] Л Меликсет-Бек, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.
[26] იქვე, გვ. 128.
[27] იქვე, გვ. 129.
[28] ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, 1939, გვ. 19.
[29] იქვე, გვ. 19.
[30] იქვე, გვ. 20.
[31] იქვე, გვ. 21.

2. მოგრძო სწორკუთხა, ან ბრტყელი სტელები ზედ საერო პირის (პიტიახშის, ჲპატოსის თუ სხვა წარჩინებულის) გამოსახულებით, წარწერით, ან უწარწეროთ (V—XI სს.);

3. ჯვრის გამოსახულებიანი სტელები, სამლოცველო შინაარსის წარწერებით, ან უწარწეროთ — „ჯვრები“ (V—XI სს.);

4. ადამიანის ხელის გამოსახულებიანი სტელები — „ჴელები“ (XII—XIII სს.);

5. ქვისაგან გამოქანდაკებული ჯვრები — „ქვაჯვარები“ (უპირატესად გვიანშუასაუკუნეებში).

წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში ჩნდება ბრტყელი ქვის სტელები, ზედ საერო შინაარსის უცხოური წარწერებით (არამეული და ბერძნული). ამის დამადასტურებელია არმაზის სტელები: არამეული წარწერით — I ს., ბილინგვა — II ს.[32] და სხვა.

შემდგომ პერიოდში, V—XI სს. საქართველოში გავრცელებული იყო სტელები, რომელზედაც გამოსახული იყო წარჩინებული საერო პირი[33]. ამავე პერიოდში საქართველოში ჩნდება ჯვრის გამოსახულებიანი სტელები — „ჯვრები“, რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია ქვის ბაზისში ჩასმული ხის ჯვარი[34]. ეს სტელები ფორმით წარმოადგენენ კვადრატულ ქვის ბუდეში ჩასმულ მაღალ ოთხწახნაგა სვეტებს, რომლებზედაც ყოველთვის ჯვარია გამოსახული. ზოგჯერ ეს სვეტი ბოლოვდება ჯვრის ქანდაკებით. სტელის ბაზისი შემკულია ორნამენტებით, ზოგჯერ ჯვრითაც[35].

ნ. ჩუბინაშვილი ადრექრისტიანული ხანის სტელებზე აღნიშნავს: „ადრექრისტიანულ ხანაში, განსაკუთრებით VI (და VII) საუკუნეებში, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ორნამენტებით შემკული სტელების აღმართვა, რომელნიც აუცილებლად ბოლოვდებიან ჯვრით“[36].

---

32 გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 9—59; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 249—252.

33 Н. Чубинашвили, Хандиси, 1972, გვ. 59, ტაბ. 26.

34 ვ. თოფურია, ქვაჯვარნი საქართველოში, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. IV, 1943, გვ. 40.

35 ვ. ცისკარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72.

36 Н. Чубинашвили, Хандиси, 1972, გვ. 8.

V—XI სს. ჯვრის გამოსახულებიან სტელებს სამლოცველო დანიშნულება ჰქონდათ. მკვლევართა აზრით (ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ვ. ცისკარიშვილი), ფეოდალიზმის გავრცელებასთან ერთად, ეს სტელები გადაიქცა სამამულო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნად, ხოლო ამის დამადასტურებელ ფაქტად მოჰყავთ წყისეს (VII ს.) და არეშის (X ს.) წარწერიანი სტელები.

წყისეს წარწერა: „ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოენბერსა ი[ზ], ა[მენ][37].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „წყისეს წარწერაში ჩვენ გვაქვს მიწის მცირე ნაკვეთის კერძო საკუთრებად ქცევის ფაქტის დადასტურება“[38].

ჩვენი აზრით, „ჯვრებს“ V—XI სს-ში მხოლოდ სამლოცველო დანიშნულება ჰქონდათ. ზემოთ მოყვანილ წარწერაში ეს ორივე ფაქტი (ჯვრის სამლოცველოდ ამართვა და მისი ამართვა შეწირულ მიწაზე) შერწყმულია. წყისეს წარწერაში ჯვრის ამმართველი, კოსტანტი, აღნიშნავს, რომ მან ჯვარი ამართა თავისი და თავისი ოჯახის სამლოცველოდ ამავე დროს ის იხსენიებს იმ ფაქტსაც, რომ მან ეს ჯვარი ამართა მცხეთის ჯვრის საყდრისათვის ნასყიდ მიწაზე. სხვა შემთხვევებში ჯვრის ამმართველი უმთავრესად აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჯვარი ამართა სამლოცველოდ. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ჯვრის თუ ქვაჯვარას ადგილს შემდგომში იჭერს ტაძარი, რომელიც მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს[39].

ამის შემდეგ საქართველოში ვრცელდება ხელის გამოსახულებიანი სტელები, ე. წ. „ჰელები“, რომლებიც მოიპოვება თრიალეთსა და ჯავახეთში, ხოლო მათი გავრცელების ქრონოლოგიური ფარგლები არ სცილდება XII—XIII სს. V—XI სს. სტელებისაგან განსხვავებით, „ჰელი“ სამეფო მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი მატერიალური ნიშანია. საქართველოში ასეთი „ჰელი“ სულ თოთხმეტია გამოვლენილი. ყველა მათგანზე გამოსახულია

---

[37] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953, გვ. 19.

[38] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რეცენზია ს. ჯანაშიას დისერტაციაზე „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე“, სის, ტ. III, 1966, გვ. 383.

[39] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

გაშლილი ხელის მტევანი — მეფის ძალაუფლების სიმბოლო, ხოლო ზოგიერთ მათგანზე, ხელთან ერთად — ჯვარი და სამეფო ნიშანიც (ტაბ. I).

XIV ს-დან საქართველოში ჩნდება „ქვაჯვარები“, მაგრამ მათ ახლა უკვე აქვთ სამანების დანიშნულება. ფორმით ისინი უხეშად დამუშავებული ლოდებია, რომლებზეც ზოგჯერ ჯვარია ამოკვეთილი, ხოლო აქა-იქ წარწერაც გვხვდება.

## 3. ძველი ქართული ლაპიდარული ეპიგრაფიკული აქტები („კელი“, „დაწერილი“ და სხვ.)

უძველესი ქართული ლაპიდარული ეპიგრაფიკული აქტების აღმნიშვნელი ისეთი დიპლომატიკური ტერმინი, როგორიცაა „კელი“, საქართველოში გავრცელებულია X—XI სს. პირველად ტერმინი „კელი“ გვხვდება მეჯუდას ხეობის წარწერაში:

„სახელითა ღმრთისათა ესე კელი ჩვენ, რამინ და გიორგი დავწერეთ: ოდეს კონსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩვენ, ცხრაზმის კევის კევისუფლად ვიყვენით. მას ჟამსა ავაგეთ წისქოვლნი და ზემოთ სახლი ერთი. სამსახოვრი ჰკიდევს Ꝋ კაცი. ქ[რისტ]ე ა[დიდე] ცისკარ, ამენ.

ესე კელი მე, გიორგი დავწერე. ქრისტე, განმგებელო ორთავე ცხოვრებათაო...“[40].

ძეგლი პირველად გამოსცა გ. ბოჭორიძემ. მისი აზრით, პალეოგრაფიული ნიშნებით ძეგლი განეკუთვნება X ს-ს. გარდა ამისა, იგი ძეგლის დათარიღებას ახდენს ტექსტის მიხედვით. ტექსტში მოხსენიებული გიორგი აფხაზთა მეფის ძე კონსტანტინე, ქართლის გამგებელი იყო 923—926 წწ., რაც შეიძლება ასევე მივიჩნიოთ ძეგლის თარიღად[41].

გარდა ამისა, ჩვენ მოგვეპოვება „კელი“ მუშელა გოგლეურისა (გომეწრის წარწერა): ႤႱႤ ႷႤႦႤႫႤႫႠႷႦႺ ႡႺႣႼႤႾႤ ႢႠႢ-ႦႤႠႾႫႺႬ ႱႺႫႺႱ ႠႾႫႠႺႤ ႱႺႷႬႤႱႤ|[2] ႣႽႤႤ ႫႤႵႦႺႠႸႾႤႱႺ ႫႤႦႨႠႱ-ႨႡႤႭႺ ႫႺႭ ႵႺႺႤ ႫႠႵႦႤႱ ႷႺႸႤႡႺ: ႫႭ|[3] ႤႺႱ ႡႺ ႢႤႺ ---ႫႺႾႭႺႦႱႺ ႫႤႴႤႩ ႷႤ-ႾႤႱႡႺ|[4] ႣႺႨႺ

---

[40] [კელი ცხრაზმის კევის კევისუფალთა სამსახურის დადების შესახებ], [X ს.] ქსძ, II, ი. დოლიძის გამოცემა, 1965 წელი, გვ. 5.

[41] გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწერილი, საისტ. მოამბე, წ. I, 1925, სურ. 2, გვ. 99.

„ესე ხელი მე მუშ(ე)ლა? დავწერე გოგ(ო)ლეურმან სამას ორ-მოცი საჴნისი ვ(ი)ძიე მიქ(ე)ლაურისა, მ(ი)ზ(ღ)ოს-ღდითა (?) მათ კაცი მოკლეს: შაბიდა, მ(ა)თ / (ა)ტას და გია. მართალსა მე-ფეჲ შე(მ)რის(ხ)და / ვაღა (ვითარცა ღმერთსა?)“[42].

ვ. ცისკარიშვილი წარწერას X—XI სს-ით ათარიღებს[43]. რო-გორც ვხედავთ, ორივე ზემოთ მოყვანილ ძეგლში აღნიშნულია, რომ „დაიწერა ჴელი“. ამ შემთხვევაში დასტურდება ნ. ბერძენი-შვილის მოსაზრება „ჴელის“ შესახებ, რომ „ეს არის „დაწერილი ჴელი“ ანუ უფლების წერილობითი შინაარსი, წერილობითი სა-ფუძველი“[44].

ამავე ტიპისაა ზემო კრიხის წარწერა — „ჴელი სოფელ კრი-ხისა“ რომელიც XI ს. განეკუთვნება[45].

XI ს-დან ტერმინ „ჴელს“ ცვლის ტერმინი „დაწერილი“. ეს, ნ. ბერძენიშვილის დამაჯერებელი მტკიცებით, გამოწვეულია იმით, რომ „დაწერილი“ როგორც თავისი იურიდიული შინაარსით, ისევე ფორმით არაფრით განსხვავდებოდა „ჴელისაგან“. ამიტომაც დრო-თა განმავლობაში, ტერმინი „დაწერილი“ თანდათან იჭერს „ჴე-ლის“ ადგილს[46]. მოსაზრება, რომ „დაწერილი“ შემოდის XI ს-დან თავდაპირველად გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა[47] და შემდგომ გაიზიარა ნ. ბერძენიშვილმა.

XI—XIII სს-ის მანძილზე ტერმინი „დაწერილი“ საკმაოდ ვრცელ მნიშვნელობას იღებს. „დაწერილი“ ეწოდება ყველა სახის იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც მეფის მიერ არაა გაცემული. ამის მაგალითია ჴაროს ეკლესიის წარწერა:

„Ⴕ҃Ⴄ Ⴑ҃ႣႤ ႧႠႤ ႣႱ [Ⴀ]
ႧႦႤ ႫႤ҃ႴႭႱ ႫႴ҃Ⴄ
Ⴃ҃ႢႤ Ⴀ҃ႦႬ Ⴀ҃ႷႤ ႫႫ҃Ⴍ

---

[42] ვ. ცისკარიშვილი, გომეწრის წარწერა X—XI სს., მაცნე, № 6, 1965, გვ. 184.

[43] იქვე, გვ. 184—187.

[44] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდა-ლურ საქართველოში, გვ. 167.

[45] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მ-ბე, ტ. VII, 1931—1932 წწ. გვ. 236.

[46] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდა-ლურ საქართველოში, გვ. 190.

[47] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატი-კა, თბ., 1928, გვ. 26.

Ⴂ~ႩႻႠ Ⴋ~Ⴑ ႯႫ~ႱႠ ႢႱႤ
Ⴚ~ႾႤ ႠႥႠႢ~Ⴇ ႫႤႥ
ႠႹႤ ႣႠႥႼႤႰႤႬ
Ⴄ - - - ႤႱႬ ႣႠ Ⴋ~ႠႠႱ Ⴋ
ႫႭႪႨ“

„ქრისტე, ადიდე ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეჯი მამულობით გვიბოძა.. მას ჟამსა მცირე ციხე ავაგეთ, მე ვაჩე დავწერენ. ე... ესნ და მაჰას მამული“[48].

ძეგლი შესრულებულია 1125—1156 წწ., რადგან წარწერა პალეოგრაფიულად XII ს-ით თარიღდება და, საფიქრებელია, რომ მასში მოხსენიებული მეფე დემეტრე არის დემეტრე I [49].

გარდა „დაწერილისა“, გვაქვს აგრეთვე ისეთი დოკუმენტები, რომლებიც მეფის მიერაა გაცემული. მას „სიგელი“ ეწოდება. ამ პერიოდში „სიგელი“ და „დაწერილი“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტერმინებია და მათი არევა არ ხდება[50].

ტერმინი „დაწერილი“, როგორც ამას თვითონ სიტყვა მიგვანიშნებს, წარმოდგება ზმნისაგან დაწერა და აღნიშნავს იურიდიული ხასიათის წერილობით დოკუმენტს. არსებული დოკუმენტების განხილვის შედეგად, ნ. ბერძენიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ტერმინი „დაწერა“ თავდაპირველად ისეთი მოქმედება იყო, რომელიც უფლების გადაცემასთან ერთად ნივთის მატერიალურ გადაცემასაც ნიშნავდა[51]. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „დაწერილი გიორგი ერისთავთა ერისთავისა სავანის სოფლისადმი“ (სავანის წარწერა), რომელიც XI ს. განეკუთვნება:

| | |
|---|---|
| „+ ႱႠႾႤႪႨႧႠ ႶႧႨႱ~ႢႧႠ ႫႤ : | + სახელითა ღ(მრ)თ\|ის(ა)ჲთა, მე |
| Ⴄ~Ⴄ Ⴂ~Ⴈ ႣႠႭႼႤႰႤ : ႣႠ ႫႨႥႤႺ : | ე(რისთავთა) ე(რისთავმან) გ(იორგ)ი |
| ႠႫႨႱႤႩႪႤႱႨႱႠ : ႬႾ~ႥႰႨ : | \|დაუწერე და\|მივეც ამის ე\|კლესი- |
| ႱႥ~ႬႱႠ : ႱႴ~ႪႱႠ Ⴇ~ႬႠ : ႣႠ- | ისა ნ(ა)ხ(ე)ვ(ა)რ\|ი ს(ა)ვ(ა)ნ(ი)სა |
| ႫႨႣႢႤႱ : ႭႣႤႱ ႸႬ~ႡႢ : ႣႠ | ს(ო)ფ(ე)ლსა. \|თ(ა)ნამიდგე\|ს ოდეს |
| ႥႼ~ႷႧ : ႫႷႭႩ~ႧႠ ႴႠႱႨႧႠ : | შ(ე)ნ(ე)ბ(ა)ჲ და\|ვ(ი)წყ(ე)თ,—მ(უ)- |

[48] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 45, ტაბ. VI.

[49] იქვე, გვ. 46.

[50] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 209.

[51] იქვე, გვ. 243.

ႣႠ ႷႭႥ˜ႪႨႧႠ Ⴔ˜ႰႨႧႠ : ႶႬ : ႳႡ-
ႣႬႤႰႬ Ⴓ˜ႩႤ : ႥႨႬ ႳႵႺႨႭႱ :
ႹႰ˜ႱႾႱႫႺႠ : Ⴜ˜ႤႣႠჂ˜ႢႨ˜Ⴄ

შ(ა)ობ(ი)თა, ფ|ასითა და ყ(ოვ)ლითა | ფ(ე)რ(ი)თა, ღ(მერთმა)ნ უბ(ე)დნ(ი)ერ(ე)ნ | უკ(უნისამდ)ე. ვინ უქციოს, | ჰრ(ი)სხ(ავ)მცა წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი“[52].

XIV ს-ის შუა ხანებიდან იწყება დიპლომატიკური ტერმინების „დაწერილისა“ და „სიგელის“ არევა, ხოლო XVI ს-ის შუა წლებისათვის კი „დაწერილი“ საერთოდ ქრება. როგორც შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „დაწერილი“ ქრება „იმიტომ, რომ იურიდიული აქტის დაწერილის შინაარსი მეტად გაფართოვდა, ხოლო ტექნიკური დაწერის მომენტი მეორეხარისხოვანი გახდა. შესაძლებელი შეიქმნა დიპლომატიკური ტერმინი „დაწერილი“-ს ადგილი დაეჭირა „წიგნს“, რომელიც ყველა და ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი იყო“[53].

გარდა ზემოთ აღნიშნული აქტებისა, ამავე პერიოდში საქართველოში არსებობდა ლაპიდარულ-ეპიგრაფიკული აქტები, რომლებიც შინაარსის მიხედვით არიან სამშენებლო თუ შესაწირავი ხასიათისა. ამათ რიცხვს განეკუთვნება „დიდი თონეთის“ წარწერა, რომელიც შესრულებულია XI ს-ში.

„✝· ႱႾ˜ႪႨႧႠ˜ႱႠႣႷ˜ႼႧႠ
Ⴜ˜ႱႠ ႩჃ˜ႰႨႩႤႱႨႧႠ ႹჃႫႤႧႠ
ႠႤჃ˜ႷႰ˜Ⴇ Ⴜ˜Ⴈ ႤႩ˜ႱႠ Ⴗ˜ႼႫႧ
ႣႼႷ˜ႡႱႠ Ⴇ˜ႧႡ ႣႤ˜ႱႠ Ⴗ˜ႬჂ
Ⴉ˜ႸႱႠ Ⴃ˜ႡႫႴႩႺႧ Ⴅ˜Ⴚ Ⴅ˜Ⴌ
ႸႺ˜ႪႱ ႩႫႠ ႤႧႱႠ ႭႫႧႠ.

სახელითა ღმრთისათა და შეწევნითა წმიდისა კჳრიკესითა ჩვენ მოლაველთა*) აღვაშენეთ წმიდაჲ ეკლესიაჲ. შევწირეთ დაწყებასა თითო ღღის ყანაჲ, კურთხევასა დავუმტკიცეთ. ვინცა ვინ შეცვალოს კრულია ღმრთისა პირითა[54].

*თაყაიშვილი კითხულობს: „მზავთა“.

როგორც ზემოთ მოყვანილი წარწერიდან ჩანს, ეს არც „ჴელია“ და არც „დაწერილი“. აქ უბრალოდ ლაპარაკია ეკლესიის აშენებასა და შეწირვაზე. დაახლოებით ამავე შინაარსისაა „ატე-

[52] ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, მაცნე, № 4, 1972, გვ. 154, სურ. 4.

[53] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 246.

[54] Е. Т а к а й ш в и л и, АЭРЗ, IV, с. 128.-

ნის წარწერა გურგანელის", რომელიც ასევე XI ს-ეს განეკუთვნება[55].

## 4. ტერმინი „ჴელი“ და მისი მნიშვნელობა ძველ საქართველოში

„ჴელი“ ძალიან გავრცელებული ტერმინია ძველ საქართველოში. ბევრია ისეთი ტერმინები, რომლებიც ნაწარმოებია სიტყვა ხელიდან. ნაწილი ამ ტერმინებისა ჩამოთვლილი აქვს ლ. მელიქსეთ-ბეგს: ქართულში „ჴელის“ აღმნიშვნელ ტერმინთა მთელი კომპლექსი შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ჯგუფზე: I. „ჴელი“... ხელი, ძალაუფლება, დეკრეტი; აქედან ხელობა, ხელოსანი, ხელთათმანი, სახელო, ხელისუფლება, ხელისუფალი, სახელმწიფო, ხელშეკრულება, ხელთდასხმა; 2. „მან“-ი, აქედან — ხელთათმანი ქალამანი და სხვ[56].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი „ჴელი“ მნიშვნელობით ლათინურ manus „მანუსს“ უდრიდა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა. აქედან არის ნაწარმოები „ჴელმწიფე“ და შემდეგ მეფე. „ჴელს“ ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში უფლების მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ, ვისაც რაიმე თანამდებობა — „ჴელი“ ქონდა, ის „ჴელოსანი“ იყო და „მოჴელე“[57].

როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, X—XI სს. ლაპიდარულ-ეპიგრაფიკულ აქტებში „ჴელი“ წერილობითი საბუთია, ხოლო XII—XIII სს. იგი აღნიშნავს სამამულო მფლობელობის მატერიალურ ნიშანს.

„ჴელიდან“ ნაწარმოებია ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინები, მაგრამ „ჴელი“, როგორც ძალაუფლების გამოხატულება, გვხვდება მხოლოდ XII—XIII სს. სტელებზე. „ჴელიდან“, როგორც ძალაუფლების აღმნიშვნელიდან ნაწარმოები ტერმინები ფეოდალურ საქართველოში შემდეგია: საჴელო — თანამდებობა; მეჴელე — თანამდებობის პირი, მოჴელე, ჴელისუფალი; ჴელმწიფე — მეფე (ჴორცის ჴელმწიფე) და კათალიკოზი (სულის ჴელმწიფე); ჴელმწიფება — ძალაუფლების ქონა[58] და სხვ.

---

55 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, 1957, გვ. 37—39.

56 Л. Меликсет-Бек, დასახელებული ნაშრომი, გვ. 111.

57 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1928, გვ. 108—109.

58 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 87—88.

ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია ხევსურეთში მოპოვებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ჴელი“ მაგიურ-აპოთროპიული დანიშნულებისაც იყო[59]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ვ. ცისკარიშვილი. „ჴელის“, როგორც მაგიურ-აპოთროპიული დანიშნულების აღმნიშვნელისაგან ნაწარმოები ტერმინები შემდეგია: „ჴელის დადება“— განკურნება და „ჴელდასხმა“, რაც ნიშნავს დევნას და აგრეთვე სასულიერო თანამდებობაში დამტკიცებას, კურთხევას[60].

„ჴელის“ პირდაპირი მნიშვნელობიდან ნაწარმოებია შემდეგი ტერმინები: „ჴელყოფა“ — გაკეთება; „ჴელდახელ“ — ძალით, ხელით; „ჴელში მიბარება“ — უშუალოდ მიცემა[61] და სხვ.

ვ. ცისკარიშვილის აზრით, „ჴელმა“ მაგიური და ძალის გამომხატველი შინაარსი მიიღო თავისი პირდაპირი მნიშვნელობიდან: როდესაც მოქმედება გამომდინარეობდა ადამიანის ხელიდან, „ჴელი“ იღებდა ძალის, უფლების მნიშვნელობას, ხოლო, როდესაც მოქმედება გამომდინარეობდა ღმერთიდან, ანგელოზიდან და ბოროტი სულიდან — იღებდა მაგიურ მნიშვნელობას[62].

„ჴელი“ მარტო საქართველოში არ გვხვდება. იგი საერთოევროპული მოვლენა იყო. ჴელი წარმოადგენდა ფიზიკური ძალის სიმბოლოს. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ხალხებში ჴელი ესმით როგორც ძალაუფლების სიმბოლო. შუა საუკუნეებში საკუთრების ტრადიცია ხელის დადებას უკავშირდება. ჴელი სიმბოლოა ჴელშეკრულებისა. განსაკუთრებით მარჯვენა ხელი ან კიდევ ხელის ჩამორთმევა, მაგ., თუკიდიდე წერს, რომ ათენელებსა და ლაკედემონელებს შორის მშვიდობის დამყარება მოხდა ხელისმიცემით. ასევე ტაციტუსი წერს, რომ ლინგონების ტომმა რომაელებს ხელშეკრულების დადების პირობად ბრინჯაოს ხელები გაუგზავნა.

ჴელი არის რწმუნების გადაცემის სიმბოლო, რომელსაც მანდატი ეწოდება. ჴელიდან არის წარმოშობილი გერმანული mundium, რომელიც მფარველობის ფორმას წარმოადგენს.

თვითონ ჴელის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, გენეზისი პატრიარქატის ხანას უკავშირდება. ინდოევროპელ ტომებში

59 ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21.
60 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 88—89.
61 იქვე, გვ. 89.
62 იქვე.

უძველესი პატრიარქალური ოჯახები ხუთწილადიანი იყვნენ და ამის გამოც „ჴელი“ მამის ძალაუფლების სიმბოლო იყო[63].

## 5. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲖᲔ

როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ხელის გამოსახულება მოიპოვება XII—XIII სს. სტელებზე. გარდა ამისა, იგი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ნაგებობებსა და ნივთებზე. ხევსურულ ორნამენტებში ხელის გამოსახულება ტაგრუცებსა და „ბეჭზეა“ მოცემული[64]. ხშირია შემთხვევები, როცა „ჴელი“ გამოსახულია გლეხთა დარბაზების დედაბოძებზე. კავკასიის ხალხებში „ჴელი“ იხმარებოდა ამულეტის მნიშვნელობით[65]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ლ. მელიქსეთ-ბეგი, ოღონდ უმატებს, რომ ეს „ჴელი“ ჩვეულებრივ გაკეთებული იყო ვერცხლისაგან ან რკინისაგან[66].

ხელის გამოსახულება გვხვდება ნაგებობებზე, როგორც საკულტოზე, ასევე ციხესიმაგრეებზე. ასეთი ნაგებობები მოიპოვება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე: კახეთში, ქართლში, იმერეთში, ლეჩხუმში, მთიულეთში და სხვა. ამ ნაგებობებზე ხელი მოცემულია კომპლექსში სხვადასხვა ემბლემებთან და ინსტრუმენტებთან. ზოგიერთ მათგანზე ხელის გამოსახულების გვერდით მოცემულია წარწერა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ამ ხელის დანიშნულება. ჩვენი აზრით, ესაა არქიტექტორის ხელი. ამას ადასტურებს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარას[67], ლეჩხუმში სოფელ მცხეთის[68], მცხეთის სვეტიცხოვლის[69] და სხვა საკულტო ნაგებობების წარწერები, რომლებიც იუწყებიან, რომ ხელი ეკუთვნის ამ შენობის ამგებს.

## 6. „ᲰᲔᲚᲘᲐᲜᲘ“ ᲡᲢᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲬᲧᲐᲠᲝ

**ა) ლაშა-გიორგის „ჴელი“ (გუნია-ყალას წარწერა).**

ჴელის გამოსახულებიანი სტელებიდან თავისი შინაარსის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანია ლაშა-გიორგის „ჴელი“ (გუნია-

[63] M. Chassan, Essai sur la symbolique de droit, Paris, 1847, გვ. 113—117.
[64] ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.
[65] იქვე.
[66] Л. Меликсет-Бек, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112.
[67] იქვე, გვ. 116.
[68] იქვე, გვ. 117.
[69] იქვე, გვ. 118.

ყალას წარწერა). ეს ძეგლი თრიალეთში (წალკის რ-ნი, სოფ. გუნია-ყალა) აღმოაჩინა და ჩამოიტანა გ. ჩიტაიამ 1936 წელს. იგი ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. სტელაზე შუაში გამოსახულია ადამიანის გაშლილი ხელის მტევანი და სამეფო ნიშანი, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულია წარწერა: „სახელითა ღმრთისაჲთა ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ივანეს, ვაჩესითა, ჯალაბაჲს მოჭირვებითა, სანობაჲსა ძისა ინაჲსა ჴელითა დაისურა ჴელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგაჲსი“ (წრწ. № 3, ტაბ. IV. სურ. 1).

წარწერა პირველად წაიკითხა პ. ინგოროყვამ, ხოლო შემდეგ რამდენიმეჯერ იქნა წაკითხული და გამოქვეყნებული.

ძეგლში, როგორც წარწერის ტექსტიდან ჩანს, მოხსენიებული არიან თამარ მეფე და ლაშა-გიორგი. ეს უკანასკნელიც მეფედ იხსენიება, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ წარწერა შესრულებულია თამარისა და გიორგის თანამოსაყდრეობის პერიოდში. პალეოგრაფიული ნიშნებით ძეგლი განეკუთვნება XIII საუკუნეს[70]. ძეგლის ზუსტი თარიღის დასადგენად საჭიროა გაირკვეს თამარის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ კურთხევის წლები.

თამარის გარდაცვალებაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი მოსაზრება არსებობს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, თამარი გარდაიცვალა 1201 წელს[71]. მკვლევართა ერთი ჯგუფი (ი. ჯავახიშვილი მ. ბროსე, კ. კეკელიძე, თ. ჟორდანია, პ. ინგოროყვა[72] თვლის, რომ თამარი გარდაიცვალა ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის (1212 წ.) შემდგომ. თ. ნატროშვილის, გ. ჯაფარიძისა[73] და შ. დარჩიაშვილის[74] აზრით, თამარი გარდაიცვალა 1210 წელს.

---

[70] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 69.

[71] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ც., IV, 1973, გვ. 179.

[72] ივ. ჯავახიშვილი, ქეი, II, გვ. 291; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ. კრ., I, გვ. 77, 172, 217; ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოცემა, 1941, გვ. 43; თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, I, 1892, გვ. 300; M. Brosset, Additions et eclaircissement à l'histoire de la Georgie depuis l'antiquite jusquien 1469 de J.-C. St-Petersbourg, 1851, s. 298.

[73] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 152.

[74] შ. დარჩიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მნათობი“, № 2, 1975, გვ. 154.

თ. ნატროშვილი და გ. ჯაფარიძე ძირითადად ეყრდნობიან ნუმიზმატიკურ მასალას, ხოლო შ. დარჩიაშვილის მტკიცების ძირითადი საფუძველია სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები. ს. კაკაბაძის, ბ. სილაგაძის და ჯ. ოდიშელის მოსაზრებით[75] თამარი გარდაიცვალა 1207 წელს. ამ თარიღს, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს, მხარს უჭერს როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები. ყველა ეს წყარო თავმოყრილი და განხილული აქვს ჯ. ოდიშელს[76].

ძეგლის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად საჭიროა გაირკვეს, თუ როდის დაიბადა ლაშა-გიორგი, რადგანაც იგი თანამოსაყდრედ ეკურთხა 13 წლის ასაკში. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს მხითარ გოშის ნაშრომი „Толкование пророчества Иеремии“ რადგანაც ნაშრომი დაწერილია თამარის დავით სოსლანზე გათხოვების წელს[77]. წყაროში აღნიშნულია, რომ მხითარ გოშმა თავისი ნაშრომის წერა დაიწყო სომხური წელთაღრიცხვის 636 წელს (1187 წ) და დაამთავრა ერთ წელიწადში, იმავე წელს, როდესაც სულთანმა სალადინმა აიღო იერუსალიმი. მხითარ გოშის ცნობით, ამავე დროს დიდი არეულობა იყო საქართველოში, რადგან მეფე თამარი გაეყარა თავის პირველ ქმარს, რუსთა მეფის ძეს და გაჰყვა თავისსავე ნათესავს (დედის მხრიდან) სოსლანს ოსთა სამეფოდან, რომელიც მეფობაში დავითად იწოდებოდა[78].

სალადინის მიერ იერუსალიმის აღება, როგორც ცნობილია, მოხდა 1187 წელს. პ. მურადიანის სამართლიანი მტკიცებით, მხითარ გოშს წერა დაუწყია 1187 წლის აგვისტო-სექტემბერში და დაუმთავრებია 1188 წლის აგვისტო-სექტემბერში[79].

პ. მურადიანი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ თამარი მამის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში ვერ გათხოვდებოდა (ე. ი. 1185 წ-მდე) და ეყრდნობა „ისტორიანი და

---

[75] ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხის ტყაოსანი, 1966, გვ. 228—230; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს-ის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, კრებული: საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 124—129; ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი (XII—XIII სს-ის მიჯნა), „ცისკარი“, 1976, № 1, გვ. 118—125.

[76] ჯ. ოდიშელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118—125.

[77] П. Мурадян, К хронологии некоторых событии в Грузии и Армении конца XII в., Բանբեր Մատենադարանի, ტ. 9; 1969, გვ. 130.

[78] იქვე, გვ. 130—131.

[79] იქვე, გვ. 130—131.

აზმანის" ცნობას, რომ თამარისა და გიორგი რუსის ცოლ-ქმრობა გაგრძელდა ორ წელზე ცოტა მეტ ხანს, რის შემდეგადაც ასკვნის, რომ 1185 წელს გათხოვილი თამარი გიორგი რუსს გაშორდა 1187 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, იერუსალიმის აღების შემდეგ, როდესაც მხითარ გოშს დაწერილი ჰქონდა თავისი ტრაქტატის მცირე ნაწილი[80].

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მხითარ გოშს ლაპარაკი აქვს თამარის მეორე გათხოვებაზე. ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1188 წლის ზაფხულისა, რადგან ამ პერიოდში დაამთავრა მხითარ გოშმა თავისი ნაშრომი.

ამრიგად, პ. მურადიანის მიერ გამოვლენილი წყაროს საფუძველზე მტკიცდება, რომ თამარი დავით სოსლანზე დაქორწინებულა არა უგვიანეს 1188 წლის ზაფხულისა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ლაშა-გიორგის დაბადების თარიღი არაა დაცილებული თამარის დაქორწინების თარიღს ერთ წელზე მეტი დროით. ამაში გვარწმუნებს აგრეთვე „ისტორიანი და აზმანის" ცნობა ლაშა-გიორგის დაბადების შესახებ. ეს ცნობა უშუალოდ მოსდევს თხრობას გიორგი რუსის გასამეფებლად ლიხთ-იმერეთის ფეოდალების მიერ მოწყობილი ამბოხების შესახებ[81]. ეს ამბოხება კი მომხდარა, „ისტორიანი და აზმანის" მიხედვით, თამარისა და დავითის ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ[82], ე. ი. 1189 წელს (და არა 1192/93 წწ-ში, როგორც ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი[83]).

ამ შემთხვევაში ლაშა-გიორგი 13 წლისა იქნებოდა 1202 წელს, ე. ი. ამ წელს აკურთხა თამარმა თავის თანამოსაყდრედ. ეს თარიღი შეგვიძლია მივიღოთ კიდეც ძეგლის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად. ასეთი ქრონოლოგია შესაბამისობაშია ჟამთააღმწერლის იმ ცნობასთან, რომ ლაშა-გიორგი თანამოსაყდრედ ეკურთხა 13 წლის ასაკში, ხოლო კურთხევიდან 5 წლის შემდეგ თამარი გარდაიცვალა (1202+5=1207); „ამას სანატრელს სიცოცხლესა შინა თვისსა დაედგა გვირგვინი ძისა მისისა გიორგისდა, რომელსა ლაშობითცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვირგვინი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფო-

---

80 П. Мурадян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

81 ისტორიანი და აზმანი, ქ. ც., II, თბ., 1959, გვ. 57.

82 იქვე, გვ. 48.

83 ივ. ჯავახიშვილი, ქეი, წ. II, გვ. 265.

ბა, ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა"[84].

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაშა-გიორგის „ჴელი" (გუნია-ყალას წარწერა) შესრულებულია 1202—1207 წლებში.

გუნია-ყალას წარწერაში, გარდა თამარისა და გიორგისა, მოხსენიებული არიან სხვა პირებიც. მათი ვინაობის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ეს მოსაზრებები ძირითადად ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო, ჯგუფად იყოფა. პირველი თვალსაზრისით (პ. ინგოროყვა, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბაქრაძე), ეს არის სამეფო ვაზირთა სრული სია, მეორე თვალსაზრისით (ს. კაკაბაძე, შ. მესხია), ეს არაა უხუცესთა სრული სია, ვაზირებთან ერთად აქ იმ მხარის ფეოდალებიც არიან დასახელებული.

პ. ინგოროყვას აზრით ესაა, სამეფო-სავაზირო უხუცესთა სრული სია ხუთი ვაზირის შემადგენლობით:

I. მწიგნობართუხუცესი: ანტონი გლონისთავის ძე ჭყონდიდელი;

II. ამირსპასალარი: ზაქარია მხარგრძელი;

III. მანდატურთუხუცესი: შალვა თორელი-ახალციხელი;

IV. მეჭურჭლეთუხუცესი: ოვსე-ყმა (კახთ ერისთავი);

V. მსახურთუხუცესი: ივანე მხარგრძელი[85].

ამავე მოსაზრებას იზიარებს ლ. მუსხელიშვილი[86].

მაგრამ აქ ორივე მკვლევარს დაშვებული აქვს შეცდომა. ისინი, ეტყობა, დაეყრდნენ „ისტორიანი და აზმანის" ცნობას, რომ ამ დროს მსახურთუხუცესია ივანე და „ვაჩეს" კითხულობენ როგორც „ივანეს". ეს შეცდომა თავის დროზე აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა: „სამწუხაროდ, ძეგლის პირველ წამკითხველს მოსვლია შეცდომა: მეხუთე სტრიქონში ჯგუფი „ვჩესითა" წაუკითხავს „ვნესითა" და წინ ი-ნის მიმატებით გაუხსნია „(ი)ვანესითა". ეს

[84] ჟამთააღმწერელი, ქ. ც., II, გვ. 151.

[85] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 569.

[86] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, მუზეუმის მოამბე, X-B, ტფ., 1940, გვ. 36.

შეცდომა ვერ დაუნახავს და მას იმეორებს განს. ლ. მუსხელიშვილი“[87].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ესაა სავაზიროს სრული სია და თუ „ჩვენ მათ თამარის ვაზირებად არ ვიცნობდით ეს ჩვენი ცოდნის ნაკლულობის მოწმობაა. ორ პირს გარდა, აქ ყველა უცნობია. ზაქარია, ვფიქრობთ, მხარგრძელია, — ამირსპასალარი, შალვა თორელია, მანდატურთუხუცესი (შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა სხვაგანაცაა დამოწმებული), ივანე მეჭურჭლეთუხუცესათაა საგულვებელი, ვაჩე კი, უნდა ვიფიქროთ, ამირახორია. მის მსახურთუხუცესობას ვერ ვივარაუდებთ: მსახურთუხუცესი ამ დროს, თითქოს უდავოდ, ივანე მხარგრძელი იყო, ხოლო მისი აქ მოუხსენებლობა იმ ცნობის სისწორის მოწმობაა, რომ რუსუდანის დრომდის მსახურთუხუცესი სავაზიროში არ შედიოდა“[88].

ჩვენი აზრით, ამირახორზე წინ იდგა მსახურთუხუცესი, რადგან იყო უხუცესი და უწყების გამგებელი (ამირახორი არ იყო უწყების გამგებელი. იგი შედიოდა ამირსპასალარის უწყებაში. მისი თანაშემწე იყო). ამდენად, აქ გაუგებარი იქნებოდა ამირახორის მოხსენიება.

ს. კაკაბაძის აზრით, გუნია-ყალას წარწერაში ვაზირები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი, რადგან ეს იყო მცირე საკითხი, რომელიც ვაზირების მონაწილეობას არ საჭიროებდა. იგი „ჭყონდიდელის“ მაგივრად კითხულობს „ჭია“-ს (სახელს), ხოლო ოვსიყმას აზნაურადაც არ თვლის[89].

შ. მესხია მიიჩნევს, რომ მხოლოდ ჭყონდიდელი და ზაქარია მხარგრძელი არიან ვაზირები, ხოლო დანარჩენები — საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები: „გუნია-ყალას წარწერა არ არის XII—XIII სს. „ვაზირთა სრული სია“. აქ მოხსენიებულ პირთაგან მხოლოდ ორი არის „დარბაზის რიგის“, მაღალი რანგის მოხელე — ერთი ვაზირია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (თევდორე), მეორე მანდატურთუხუცესი-ამირსპასალარი (ზაქარია), ხოლო დანარჩენი სამი კი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები — შალვა — ჯავახეთის მხარის ერისთავთერისთავი, ოვსიყმა—თრიალეთის ერისთა-

---

[87] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 160.

[88] იქვე.

[89] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 307.

ვი, ხოლო ვაჩე — სამშვილდის მხარის ერისთავთერისთავი. სამივე სწორედ იმ მხარის ერისთავთერისთავები არიან, რომელთა საგამგეო უშუალოდ შედიოდა ამ დროს შექმნილ ვრცელ სახასო ქვეყანაში"[90].

მაგრამ სახასო და საერისთავო მიწები ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო და სახასოში არ შეიძლებოდა მჯდარიყო ერისთავთერისთავი. ამასთან, ამ პერიოდში არაა ცნობილი არც თრიალეთისა და არც სამშვილდის საერისთავო.

სამშვილდის საერისთავო არსებობდა ადრეფეოდალურ ხანაში[91]. X ს-ში აქ შეიქმნა სომხური სამეფო[92], რომლის ცენტრი იყო სამშვილდე, ხოლო სამეფო დინასტია—სომეხ ბაგრატიონთა განშტოება—კვირიკიანებისა. სამშვილდე შემოიერთა ბაგრატ IV-მ[93]. შემდეგ გიორგი II-მ ის გადასცა კლდეკარის ერისთავს, შემდეგ დაიპყრეს თურქმა სელჩუკებმა და 1110 წელს გაათავისუფლა დავით აღმაშენებელმა[94].

თრიალეთში X—XI სს. არსებობდა კლდეკარის საერისთავო, რომელიც გააუქმა დავით აღმაშენებელმა[95]. ამის შემდეგ ის ტერიტორია იქცა სამეფო დომენად. შესაძლოა, ამ ტერიტორიის ნაწილი შედიოდა რომელიმე საერისთავოში, მაგრამ საკუთრივ თრიალეთის საერისთავოს არსებობას არც ერთი წყარო არ ასაბუთებს.

განვიხილოთ გუნია-ყალას წარწერაში დასახელებულ პირთა ვინაობა. არიან თუ არა ისინი დარბაზის რიგის მოხელეები.

წარწერაში, როგორც ცნობილია, პირველად დასახელებულია ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. გარდა ამისა, იგი ერთადერთია დასახელებულ პირთაგან, რომელიც თანამდებობით მოიხსენიება. ჩვენ ვიზიარებთ შ. მესხიას შეხედულებას, რომ ეს მის განსაკუთრებულად მაღალ მდგომარეობაზე მიგვითითებს[96]. მის ვინაობაში არც ერთ მკვლევარს არ შეჰპარვია ეჭვი, გარდა ს. კაკაბაძისა.

---

[90] შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში, გვ. 62.

[91] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქც, ტ. I, 1955, გვ. 27.

[92] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა, 1965, გვ. 0132.

[93] ივ. ჯავახიშვილი, ქეი, წ. II, თბ., 1969, გვ. 151.

[94] იქვე, გვ. 158, 197.

[95] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქც, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955, გვ. 326.

[96] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

წარწერაში მეორე ადგილზე დასახელებულია ზაქარია მხარგრძელი. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ზაქარიას უწინ დასახელება რიგის დარღვევაა და ეს გამოწვეულია ზაქარია მხარგრძელის პირადი პატივით სამეფო კარზე[97]. მაგრამ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს ზუსტი, რადგან XII—XIII სს-ის მიჯნაზე ამირსპასალარი ერთ-ერთი პირველი მოხელეა და მისი მანდატურთუხუცესზე წინ დაყენება სავსებით კანონზომიერია. გარდა ამისა, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის პატივი „ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, სწორია[98].

შ. მესხია თვლის, რომ ზაქარია მხარგრძელს ორი სახელო ჰქონდა: ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა, რაც მკვლევრის აზრით, თავისთავად გამორიცხავს შალვას ვაზირობას და არღვევს წარწერის რიგს. შალვა, მკვლევრის აზრით, მანდატურთუხუცესი არ ყოფილა XIII ს-ში[99].

წყაროების მიხედვით, ზაქარიას მართლაც ჰქონდა ორივე აღნიშნული ხელო, ოღონდ, ჩვენი აზრით, ამას ადგილი ჰქონდა გარკვეულ პერიოდში — 1195—1202/3 წწ. (ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ).

შალვას მანდატურთუხუცესობაზე ცნობას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი": „წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა"[100].

მკვლევართა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შ. მესხია), თვლის, რომ შალვას დასახელება მანდატურთუხუცესად აქ ზედმეტია და ტექსტში მხოლოდ ჭიაბერი უნდა იყოს გიორგი III-ისა და თამარის ერთგული მოხელე, რომელიც ბასიანის ომშიც იღებდა მონაწილეობას[101]. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უფრო მართებული ჩანს ნ. შოშიაშვილის მოსაზრება, რომ ტექსტში ზედმეტია ჭიაბერის დასახელება, რადგანაც ჭიაბერი საერთოდ აღარ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე შამქორის ომის შემ-

[97] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 36—37.

[98] ხელმწიფის კარის გარიგება, ქსძ, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, 1956, გვ. 96.

[99] შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[100] „ისტორიანი და აზმანი", გვ. 95.

[101] ივ. ჯავახიშვილი, ქეი, წ. II, გვ. 501, „ისტორიანი და აზმანი", კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 126; შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 47—48.

დეგ[102]. ხოლო შალვა ახალციხელი კი რამდენჯერმე დასახელებული ბასიანის ომის დროს, როგორც მეწინავე ლაშქრის სარდალი[103]. როგორც ჩანს, შამქორის ომის შემდეგ ჭიაბერი გარდაიცვალა და მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე ის შეცვალა ზაქარია მხარგრძელმა, ხოლო არაუგვიანეს 1202/3 წლისა (ბასიანის ომი) მანდატურთუხუცესი გახდა შალვა ახალციხელი.

შალვას მანდატურთუხუცესობას ამტკიცებს აგრეთვე განძანის წარწერებიც. განძანში აგებულია ორი ეკლესია. ზედა ეკლესიას აქვს ორი წარწერა:

1. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, ძითა, ძმითა. მითითაჲ ცოცხალთა ვაშენეთ წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა“ (წრწ. № 15, ტაბ. XVII, სურ. 1).

2. ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისაჲთა და მკლავითა თვისითა შეაძრწუნა ყოველი ს(ოფელი სპა)რსეთისაჲ“. (წრწ. № 15 ა, ტაბ. XVII, სურ. 2).

ქვედა ეკლესიის წარწერებში აღნიშნულია: 1. „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებათა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ნიკოლას ძეთა. შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო. საყდარი დედისა ღმრთისაჲ (წრწ. № 16, ტაბ. XVIII, სურ. 1).

2. „ქ. ღმრთივ გჳრგჳნოსანი მეფობაჲ გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ დედაო ყოველთა მხსნელისაო“ (წრწ. № 16ᵃ, ტაბ. №VIII, სურ. 2).

ამ წარწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ზედა ეკლესია უფრო ადრეა აშენებული და რომ შალვა ორივე ეკლესიის წარწერებში ერთი და იგივე პიროვნებაა. აგრეთვე უდავოა ის ფაქტიც, რომ წარწერებში მოხსენიებული შალვა ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი იყო და შემდეგ მიუღია მანდატურთუხუცესობა. ეს ტერიტორია XII-

---

[102] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებული: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 22.

[103] ისტორიანი და აზმანი, ქ. ც., II, გვ. 95. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ. ც., II, გვ. 137.

XIII სს. ეკუთვნოდათ ახალციხელებს, ხოლო ამ გვარიდან შალვა მანდატურთხუცესი მეტი არავინ ყოფილა.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ვ. ცისკარიშვილი, შ. მესხია) თვლის, რომ განძანის ეკლესიები განეკუთვნებიან XIV საუკუნეს და აქ მოხსენიებული შალვა ჯაყელია და არა ახალციხელი[104].

შ. მესხიას საკმაოდ ვრცლად აქვს ეს საკითხი განხილული. იგი ცდილობს დაასაბუთოს შალვას ახალციხელობის შესახებ მოსაზრების უსაფუძვლობა და მოჰყავს მისი ჯაყელობის დამამტკიცებელი საბუთები:

1. წარწერის ხუროთმოძღვრული და პალეოგრაფიული მონაცემები: არქიტექტურულად ეკლესიები განეკუთვნება XIV საუკუნეს და ამავე პერიოდისაა ასო „ა"-ს მოყვანილობა[105].

2. წარწერაში ნათქვამი „ცოცხალთა" ნიშნავს, რომ შალვას მკვდარი ძმაც ჰყავდა. ეს კი შალვას ჯაყელობის დამამტკიცებელია, რადგან შალვა ჯაყელს ორი ძმა ჰყავდა, ხოლო ახალციხელს— ერთი[106].

3. სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა განძანის წარწერების შალვას ვინაობა, მანამდე შეუძლებელია, ამ წარწერების მიხედვით, რომელიმე შალვას — ჯაყელის თუ ახალციხელის — მანდატურთუხუცესად თუ მეჭურჭლეთუხუცესად მოხსენიების მტკიცება, რადგან, არც ერთი ამ თანამდებობით სხვა წყაროებში არ მოიხსენიება[107].

4. ზარზმის ფრესკის წარწერებში „მხატვართუხუცესის" მაგივრად უნდა იკითხებოდეს „მანდატურთუხუცესი", ხოლო ეს იმაზე მიგვითითებს, რომ XIV ს-ის I ნახევარში მანდატურთუხუცესობა ჯაყელთა ხელშია[108].

5. წარწერაში მოცემული დახასიათება „შეაძრწუნა სოფელი სპარსეთისაჲ" შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც შალვა ახალციხელს, ასევე ჯაყელს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელზე ცნობები არ მოგვეპოვება[109].

6. ჟამთააღმწერლის ცნობით, ჯაყელებს ამ დროს ჰქონდათ

---

104 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის. ეპიგრაფიკა, გვ. 102—104; შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 48—57.

105 შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 51.

106 იქვე, გვ. 51—52.

107 იქვე, გვ. 52.

108 იქვე, გვ. 54.

109 იქვე, გვ. 54—55.

„მრავალნი სოფელნი ჯავახეთს". ასეთ ვითარებაში განძანის ტერიტორიაზე შალვა ჯაყელის მიერ ეკლესიის აგება მაინცდამაინც გასაკვირი და შეუძლებელი არ უნდა იყოს[110].

ჩვენი აზრით, განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვა ახალციხელია და არა ჯაყელი.

1. XIII—XIV სს. ასო „ა" გვხვდება ეგრეთ წოდებული „ქუდმოხდილი" და ალმაშეტრიალებული (◡). „ქუდის მოხდა" იწყება უკვე XII ს-ში. ასეთია მაგ., დავით აღმაშენებლის ეპიტაფია გელათში. XII—XIII სს. მიჯნაზე ასეთი „ა" გვხვდება მუზეუმის № 227 წარწერაში (წრწ. № 10, ტაბ. X), სადაც მოხსენიებულია თამარ მეფე (ძეგლის სადაურობა გაურკვეველია). ქუდმოხდილი „ა" გვხვდება აგრეთვე XIII ს-ის დასაწყისის გუნია-ყალას წარწერაში. როგორც XIII, ისე XIV ს-ში გვხვდება ქუდმოუხდელი „ა" (მაგ., იგივე განძანის წარწერები). ასე რომ, განძანის წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები არ გამორიცხავენ ამ წარწერების დათარიღებას XIII საუკუნით. რაც შეეხება ხუროთმოძღვრულ მონაცემებს, ჩვენი აზრით, კრიტერიუმი ამ მონაცემებით დათარიღების დროს უნდა განისაზღვროს ისტორიული ფაქტორებით და არა პირიქით.

2. შ. მესხია ეყრდნობა განძანის წარწერების ცისკარიშვილისეულ გამოცემას, სადაც წერტილი „ცოცხალთა"-ს შემდეგაა დასმული. ჩვენი აზრით, წარწერაში წერტილი უნდა დაისვას „ძმითა"-ს შემდეგ. ამ შემთხვევაში წინადადება სინტაქსურად გამართულია და გასაგები ხდება წინადადების აზრი, რომ „ცოცხალთა" ეკუთვნის არა შალვას ძმას, არამედ ნიკოლას და ქებას ძეებს, ე. ი. ნიკოლას და ქებას ძეები თავიანთ თავს ცოცხლებად თვლიან შალვას, მისი ძისა და ძმის წყალობით. ამდენად, განძანის წარწერებში იხსენიება შალვას მხოლოდ ერთი ძმა და არავითარი მითითება, რომ მას ჰყავს გარდაცვლილი ძმაც, აქ არ არის.

3. როგორც აღვნიშნეთ, შ. მესხია თვლის, რომ შალვა, არც ჯაყელი და არც ახალციხელი მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობებით სხვა წყაროებში არ მოიხსენიება. შალვა ჯაყელი მართლაც არსად არ მოიხსენიება მეჭურჭლეთუხუცესად, ხოლო თორელების გვარში მეჭურჭლეთუხუცესობა დადასტურებულია წყაროებით (მაგ., გამრეკელი თორელი[111], კახა

---

[110] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[111] წყალობის დაწერილი მიქაელ კათალიკოზისა მსახურთუხუცეს ვაჩე გურამაისძისადმი, 1241 წ., ქსძ, III, ი. დოლიძის გამოც. გვ. 154—157.

თორელი[112]), ასევე შალვა „ისტორიანი და აზმანში“ მანდატურთუხუცესად მოიხსენიება[113].

4. ჩვენ ვიზიარებთ შ. მესხიას თვალსაზრისს, როდესაც ზარზმის ფრესკის ბერიძისეულ წაკითხვაში შეაქვს შესწორება (თავის მხრივ, ვ. ბერიძემ კორექტივი შეიტანა ე. თაყაიშვილის წაკითხვაში, რაც შ. მესხიამ გაიზიარა). ვ. ბერიძეს ტექსტი შემდეგნაირად აქვს წაკითხული: „სამცხის სპასალარი სარგის და მხატვართუხუცესი — ამირსპასალარი ყუარყუარა“[114]. შ. მესხია სამართლიანად ასწორებს „მხატვართუხუცესს „მანდატურთუხუცესად“, მაგრამ სწორედ ასეთი შესწორება მოწმობს, რომ ბექა ჯაყელის შვილებიდან მანდატურთუხუცესი ყოფილა არა შალვა, არამედ ყვარყვარე, ხოლო მისი უფროსი ძმა სარგისი ყოფილა სამცხის სპასალარი.

5. შ. მესხია მიიჩნევს რომ განძანის წარწერებში მოცემული დახასიათება „შეაძრწუნა სოფელი სპარსეთისაჲ“ შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც შალვა ახალციხელს, ისე ჯაყელს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ნ. შოშიაშვილის მოსაზრებას, რომ შალვა ჯაყელი არ ჩანს ასეთი სახელმოხვეჭილი სარდალი წყაროების მიხედვით და არც არის XIV ს-ში ისეთი დრო, რომ ქართველ სარდალს შეეძრწუნებინა მთელი სპარსეთი, ხოლო შალვა ახალციხელს წყაროები ახასიათებენ, როგორც შეუდარებელ მეომარს და წინამებრძოლს ზაქარია მხარგრძელთან ერთად[115].

6. შ. მესხია თვლის, რომ ჯავახეთში, ბექა ჯაყელის კუთვნილ სოფლებში, შეიძლება განძანიც ყოფილიყო. ჩვენ ამ შემთხვევაშიც ვიზიარებთ ნ. შოშიაშვილის თვალსაზრისს, რომ განძანი მდებარეობს ჯავახეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში და მისი დაუფლება ჯაყელებს შეეძლოთ მხოლოდ მთელი ჯავახეთის ხელში ჩაგდების შემდეგ[116].

გუნია-ყალას წარწერაში შალვას შემდეგ მოხსენიებულია ოვსიყმა. მასზე ცნობები საერთოდ არ მოიპოვება. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ოვსიყმას მოღვაწეობა მცირე ხანს გაგრძელდა და უმნიშვნელო იყო, ანდა მის შესახებ არსებული ცნობები დაკარგულია. საერთოდ, უცნობი ვაზირის მოხსენიება წყაროებში

---

[112] შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, 1259 წ. ქსძ, II, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 65.

[113] ისტორიანი და აზმანი, გვ. 95.

[114] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 125, შნშ. 1.

[115] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 37—38.

[116] იქვე.

არ არის გასაკვირი, რადგანაც ასევე ერთხელ იხსენიებიან დოკუმენტებში, მაგალითად, გამრეკელი[117] და მამურჩა[118] მეჭურჭლეთუხუცესები.

გუნია-ყალის წარწერაში რიგით მეხუთეა ვაჩე. დარბაზის რიგის მოხელეებში ამ ადგილზეა მსახურთუხუცესი. „ისტორია-აზმანის" მიხედვით კი ამ პერიოდში, კერძოდ, 1191 წლიდან, მსახურთუხუცესია ივანე მხარგრძელი. პ. ინგოროყვა და ლ. მუსხელიშვილი სწორედ ამ წყაროს ეყრდნობიან და ამიტომ კითხულობენ „ვაჩე"-ს მაგივრად „ივანეს"-ს მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შეცდომაა, რადგან ძეგლში აშკარად ვაჩე წერია. ჩვენი აზრით, უფრო ეჭვი უნდა შევიტანოთ „ისტორიანი და აზმანის" ცნობის სისწორეში. „ისტორიანი და აზმანის" ცნობა რომ ივანე მხარგრძელმა მსახურთუხუცესობის ნაცვლად ათაბაგობა მიიღო 1212 წელს (ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ), არა ჩანს სანდო, რადგან თამარი 1212 წელს არ ჩანს ცოცხალი (როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თამარი გარდაიცვალა არა 1213, ან 1210, არამედ 1207 წ.) და ის ვერ მისცემდა ათაბაგობას ივანე მხარგრძელს. თუ მივიღებთ რომ თამარმა ივანეს ათაბაგობა მისცა, მაშინ უნდა მივიღოთ ისიც, რომ ეს მოხდა არა 1212 წელს, არამედ არა უგვიანეს 1207 წლისა. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ათაბაგად ივანე გახდა არა უგვიანეს 1207 წლისა და ამავე პერიოდში დატოვა მსახურთუხუცესობა. მაშინ გასაგები ხდება მსახურთუხუცესის ადგილზე ვაჩეს მოხსენიება გუნიაყალას წარწერაში. გამოდის, რომ არა უგვიანეს 1207 წლისა მსახურთუხუცესის თანამდებობაზე ივანე მხარგრძელი შეცვალა ვაჩემ.

და ბოლოს, ძეგლში მოხსენიებულნი არიან „ჯალაბაჲ" და „ინაჲ". მათი ვინაობა სავსებით ნათელია. პირველი, როგორც ჩანს, ძეგლის დადგმის მოთავეა — „ჯალაბაჲს მოჭირვებითა", ხოლო მეორე ოსტატი — „ინაჲსა ჴელითა".

ამრიგად, გუნია-ყალას წარწერაში მოცემულია „დარბაზის რიგის" უმაღლეს მოხელეთა—უხუცესთა სია:

---

[117] მიქაელ კათალიკოსის დაწერილი მსახურუთხუცეს ვაჩე გვარამაის ძისადმი 1241 წლისა, ქსძ, წ. III, ი. დოლიძის გამოცემა, № 12, გვ. 157.

[118] არსენ ჭყონდიდელის დაწერილი გელა აბულახტარისძისადმი 1241—42 წლებისა, ქსძ, წ. III, ი. დოლიძის გამოცემა, № 13, გვ. 160.

I — ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი;
II — ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი;
III — მანდატურთუხუცესი შალვა ახალციხელი;
IV — მეჭურჭლეთუხუცესი ივანე;
V — მსახურთუხუცესი ვაჩე.

ბ) თამარის „კელი" (ჩხიკვთას წარწერა)

სსმ-ში ინახება წარწერიანი ქვა, რომელიც ჩამოტანილია თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ჩხიკვთადან 1963 წელს პ. ზაქარაიასა და ნ. შოშიაშვილის მიერ. ქვაზე მოცემულია ხელისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებები, რომელთა შორის მოთავსებულია წარწერა:

„სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა მარწმუნა ღმერთმან თამარს რაითა შევიწყალენ სადიდებლად ჩუენისა სულისათჳს.. ზაქარია ამირსპასალარისითა და ჰყონდიდლისითა და მსახურთუხუცესისითა... (წრწ. № 1. ტაბ. II).

ძეგლში მოხსენიებული არიან თამარი და უხუცესი-ვაზირები: ჰყონდიდელი, ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და მსახურთუხუცესი. ამდენად, ძეგლის ქრონოლოგიური საზღვრები იქნება 1195—1207 წწ. (ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად აღებულია ზაქარია მხარგრძელის მიერ ამირსპასალარის სახელოს მიღება, ხოლო ზედად—თამარის გარდაცვალება).

გ) თამარისა და ლაშას „კელი" (პრტენას წარწერა)

სსმ-ში ინახება წარწერიანი ქვა, რომელიც ჩამოიტანეს ახალქალაქის რ-ნის სოფ. პრტენადან 1956 წ. ქვაზე ამოკვეთილია გაშლილი ხელის მტევანი, რომლის ორივე მხარეს და ბოლოში მოთავსებულია წარწერა:

„ქ. იესუ ქრისტე, ადიდე თამარ და ძე მათი ლაშა. შეიწყალე ბეშქენ, გურგენ (ან: გიორგი, ან: გრიგოლი), კოსტანტინეს (ან: კვრიკეს) ძენი" (წრწ. № 2. ტაბ. III).

წარწერის ტექსტიდან გაურკვეველია, თუ ვინ არიან ბეშქენ, გურგენ (ან გიორგი, ან: გრიგოლი) და კოსტანტინე (ან: კვრიკე).

ძეგლში მოხსენიებული არიან თამარი და ლაშა, ამდენად მისი ქრონოლოგიური ფარგლები იქნება 1189—1207 წწ. (ლაშას დაბადება—თამარის გარდაცვალება). მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ ფარგლების დავიწროება და თარიღის უფრო დაკონკრეტება შე-

იძლება: პრტენას „ჭელი“ იმით განსხვავდება გუნია-ყალას „ჭელი-სა“-გან, რომ ეს უკანასკნელი ლაშა-გიორგის ეკუთვნის — „ჭელი ესე მეფეთ-მეფისა გიორგისი“. პრტენას წარწერა კი, როგორც ჩანს, თამარის სახელითაა დასმული. ამასთან, პრტენას წარწერაში თამარის ვაჟი იწოდება ლაშად და სამეფო ტიტულის გარეშე, გუ-ნია-ყალას წარწერაში კი — გიორგით და „მეფეთ-მეფედ“. ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ გუნია-ყალის წარწერა ამოკვე-თილია 1202 წლის (ე. ი. ლაშას მეფედ კურთხევის) შემდეგ, პრე-ტენას წარწერა კი — 1202 წლამდე. ამასთან, როგორც ჩანს, გამეფების შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებში ლაშა-გიორგი რო-გორც წესი იწოდება გიორგიდ, გამეფებამდე კი შეიძლება მოხსე-ნიებულ იქნეს მხოლოდ ლაშად, როგორც გვაქვს არტენას წარწე-რაში. თრიალეთ-ჯავახეთის სახასო მამული ლაშა-გიორგისა გახ-და ოფიციალურად მის მეფედ კურთხევასთან ერთად (1202 წ.) და აქ მისი სახელით „ჭელის“ დასმა შეიძლებოდა სწორედ ამის შემ-დეგ. ამრიგად, პრტენას „ჭელი“ უნდა დათარიღდეს 1189—1202 წ-ით.

**დ) რუსუდანის „ჭელი“ (არხოტის წარწერა)**

მანგლისის მახლობლად სოფელ არხოტში 1923 წ. ლ. მელიქ-სეთ-ბეგის მიერ ფიქსირებულ იქნა წარწერიანი სტელა, რომელ-ზედაც ამოკვეთილია ორი ჯვარი და მათ შორის ხელის გამოსახუ-ლება. წარწერა ამოკვეთილია როგორც ჯვრების და ხელის გამო-სახულების ქვემოთ, ასევე ჩარჩოს გასწვრივ მარჯვნივ, მარცხნივ და ქვემოთ.

„წმინდაი გიორგი კავთისაჲ. † ესე ბრძანებაჲ ჩემჲ არს, რუსუ-დან: ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალი არს მამული მათი, ნასყიდით და შეწირულითა. საწესო ნუ ვინ შალოთ. ბრძანებაჲ“ (წრწ. № 4, ტაბ. IV, სურ. 2).

ეს იურიდიული ხასიათის ძეგლი ამჟამად ინახება საქართვე-ლოს სახ. მუზეუმში.

წარწერა შესრულებულია რუსუდანის მეფობის ხანაში 1222-45 წწ. (იგი ტექსტშია ნახსენები). თამარისა და ლაშას ერთობლი-ვი წარწერების ანალოგიით, სავარაუდოდ შეიძლება ეს ქრონო-ლოგიური ფარგლები დავიწროვდეს 1222—30 წწ-ით (დავით ნა-რინის თანამოსაყდრედ კურთხევა).

## ე) [რუსუდანის „ჴელი“] (დიდი თონეთის წარწერა)

თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. დიდი თონეთიდან ექ. თაყაიშვილმა ჩამოიტანა წარწერიანი ქვა:

„...ს II მ... /[2] [ს](ა)ხ(ელი)თა ღ(მრთისა)ჲთა აზ(ა)დ /[3] და შე(უ)ვ(ა)ლნია ესე ქ(ა)ვთ(ი)/[4]ს გლ(ე)ხნი ნ(ა)დ(ი)რ(ა)ს ძენი /[5] სას(ო)ფლო(ჲ)სა ს(ა)მს(ა)ხ/[6]ურისაგან“. (წრწ. № 5, ტაბ. V).

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XIII ს-ისაა. ის შინაარსით ძალიან ჰგავს რუსუდანის „ჴელს“ (არხოტის წარწერა). ქვის ზედა ნაწილიდან შემორჩენილი გამოსახულების ნაშთი შეიძლება იყოს ჯვრის ქვედა მკლავი ან ხელის ქვედა ნაწილი[119]. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სტელა წარმოადგენს რუსუდანის „ჴელს“.

## ვ) მეფეთ-მეფის დავითის „ჴელი“ (სალამოს წარწერა)

სსმ-ში 1954 წელს ბოგდანოვკის რ-ნის სოფ. სალამოდან ჩამოიტანეს ხელის გამოსახულებიანი წარწერიანი ქვა.

„ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელი მეფეთა მეფე დავით“ (წრწ. № 6. ტაბ. VII).

ვ. ცისკარიშვილის მოსაზრებით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XIII ს-ზე ადრინდელი არაა და აქ მოხსენიებული დავით მეფე დავით ულუა, რის საფუძველზეც მკვლევარი წარწერას ათარიღებს 1247—70 წწ-ით (დავით ულუს მეფობის ხანა)[120]. წარწერა, მართლაც, ულუ დავითის უნდა იყოს, რადგან „ჴელიანი“ სტელები XII ს-ის ბოლოს და XIII ს-ის ფარგლებს არ სცილდება. მაგრამ, ჩვენი აზრით, შეიძლება წარწერის ქრონოლოგიური საზღვრების უფრო დაკონკრეტებაც. კერძოდ, 1259—70 წწ-მდე (როდესაც დავით ულუ მარტო მეფობდა), რადგან დავით ულუ და დავით ნარინი თანამეფობის პერიოდში ოფიციალურ წყაროებში (სამეფო სიგელები[121], მონეტები[122], წარწე-

---

[119] Л. Меликсет-Бек, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[120] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 69—70.

[121] ს. კაკაბაძე, სიგელი მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელისა 1250 წ. შიომღვიმისათვის დაწერილი, ტფილისი, 1918.

[122] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 92.

რები) ერთად მოიხსენებიან. ჟამთააღმწერელი შენიშნავს: „და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების, და თუთ მე მინახავს, რომელ სიგლეზისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატოანნი“ და „ნებითა ღვთისათა დავით და დავით“. და კელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისაგან მტკიცე [არს] და ჩემ დავითისაგანცა მტკიცე არს“[123].

აბელიას ეკლესიის წარწერაში აღნიშნულია: „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი, დავით და დავით“ (წრწ. № 20, ტაბ. XXII—XXV).

## ზ) უწარწერო „კელიანი“ სტელები და მათი გავრცელების ქრონოლოგიური ფარგლები

ზემოთ განვიხილეთ „ლაშა-გიორგის კელი“ (გუნია-ყალას წარწერა), „თამარისა და ლაშას კელი“ (პრტენას წარწერა), „თამარის კელი“ (ჩხიკვთას წარწერა), „რუსუდანის კელი“ (არხოტის წარწერა) „რუსუდანის კელი“ (დიდი თონეთის წარწერა) „მეფეთა-მეფის დავითის კელი“ (სალამოს წარწერა) და წარწერების შინაარსისა და პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ყველა კელი განეკუთვნება XII—XIII სს-ს. ამას გარდა, კიდევ გაგვაჩნია ხელის გამოსახულებიანი 9 სტელა. ამათგან სამი ჩხიკვთადანაა. ორ მათგანზე მხოლოდ ცალკეული ასოები იკითხება; ხოლო ერთზე საერთოდ არაა წარწერა. ვ. ცისკარიშვილის აზრით, პალეოგრაფიულად ეს ასოები განეკუთვნება XIII ს.[124]. სავარაუდებელია, რომ უწარწერო სტელებიც ამავე პერიოდისა იყოს[125].

დანარჩენი ექვსი სტელიდან, ხუთი წალკის რაიონიდანაა (იმერა, მიპასიშიტი, თემ-ხარაბი და ორი ხაჩკოვის), ხოლო ერთი— ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხადან. ყველა ეს სტელა უწარწეროა, გარდა ხაჩკოვის ერთ-ერთი სტელისა, რომელზედაც მინაწერი გვიანდელი უნდა იყოს[126].

ლ. მელიქსეთ-ბეგმა აღნიშნა (შემდეგ ეს მოსაზრება გაიზიარა ვ. ცისკარიშვილმა), რომ ყველა ეს სტელა განეკუთვნება

---

123 ჟამთააღმწერელი, ქ. ც., II, გვ. 226—227.

124 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 71.

125 Л. Меликсет-Бек, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

126 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 71.

XII—XIII სს.[127] ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისი სწორია, რადგანაც ყველა სტელაზე გამოსახულია გაშლილი ხელის მტევანი (მეფის ძალაუფლების მატერიალური ნიშანი). ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ყველა ამ „ჯელის" გავრცელების ტერიტორიული ფარგლები არ სცილდება ჯავახეთსა და ისტორიულ ქვემო ქართლს (ე. ი. იმ ტერიტორიას, რომელიც XII-XIII სს-ში სახასო ქვეყანას—სამეფო დომენს შეადგენდა)*.

[127] Л. Меликсет-Бек, დასახ. ნაშრ., გვ. 128; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 71.

* ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

## სამეფო და საუფლისწულო მიწათმფლობელობა

თრიალეთი და ჯავახეთი თავიანთი მდებარეობის მეოხებით განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი დაკავშირებული იყვნენ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან. IX ს-ის ბოლოს, როგორც ცნობილია, თრიალეთში დაარსდა კლდეკარის საერისთავო—როდესაც „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა"[1]. ამ მხარეების უდიდეს მნიშვნელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ X—XI სს-ში მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა კლდეკარის ერისთავებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

ბაგრატ III-ის დროს ბაღვაშები განდევნილ იქნენ თრიალეთიდან[2] და მეფემ აქ დააყენა თავისი მოხელე-ერისთავი ზვიად მარუშიანი. ზვიად ერისთავის შესახებ ცნობები შემონახულია როგორც ქართულ ნარატიულ წყაროებში, ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

„მატიანე ქართლისა"-ში მოხსენიებულია ზვიად ერისთავთ-ერისთავი, რომელმაც ბაგრატ III-ის ცხედარი ტაოდან ბედიას გადმოასვენა (ბაგრატ III გარდაიცვალა 1014 წლის 7 მაისს): „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი მჴცითა შუენიერითა, ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა (-1014), თუესა მაისსა შჳდსა, დღესა პარასკევსა და იყო დღესა მიცვალებისა მისისათა ტაოს, და წამოიღო გუამი მისი ზჳადმან ერისთავთერისთავმან, და დამარხა ბედიას"[3].

შემდგომ ზვიად ერისთავი იხსენიება ბასილი კეისრის საქართველოში მეორედ შემოჭრის დროს: „კუალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა, და აღუთქმიდა

---

[1] მატიანე ქართლისა, ქ. ც. 1, გვ. 258.

[2] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, საქ. სახ. მუზ. მ-ბე, XX-B, 1959, გვ. 60.

[3] მატიანე ქართლისა, ქ. ც. I, 1955, გვ. 283.

ზავსა და მშვდობასა. ცნა რა გიორგი მეფემან წარავლინა ზვიადი ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რათა[მცა] ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილსა, და თვთ წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა“[4].

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, ბასილი კეისრის შემოჭრა საქართველოში მოხდა „მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა“[5], ე. ი. 1021 წელს (1014+7), ხოლო მეორედ შემოსვლა მოხდა ერთი წლის შემდეგ — 1022 წელს.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ზვიად ერისთავის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ლივადისა და დიდი გომარეთის წარწერები.

1. ლივადის წარწერა:

„წმიდაო თეოდორე, შეიწყალე ვარდა, ძე მონისა ზვიადისაჲ ერისთავთ-ერისთავი[საჲ]“[6].

2. დიდი გომარეთის წარწერა:

„სახელითა ღმრთისაჲთა მას ჟამსა ოდეს ძლიერმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრნა ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დვა ჴელითა ცოდვილისა მიქელ ხუც(ეს)-გალატოზისაჲთა“[7].

ა. ბაქრაძე ორივე წარწერას პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს. მიაკუთვნებს[8].

ე. თაყაიშვილის აზრით, ლივადის წარწერაში მოხსენიებული ზვიად ერისთავი ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის თანამედროვეა[9]. დიდი გომარეთის წარწერას ე. თაყაიშვილი ათარიღებს 1014-22 წლებით — გიორგი I-ის გამეფებისა და ლიპარიტ II-ის (რომელიც ამავე ეკლესიის სხვა წარწერაშია მოხსენიებული) გარდაცვალების წლებით[10].

ჩვენი აზრით, წარწერა შესრულებულია 1022—27 წლებში, რადგანაც 1022 წელს, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ზვიადი მეწინავე ლაშქრის სარდლადაა მოხსენიებული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მომხდარიყო მისი შეპყრობა. წარწერის

---

[4] მატიანე ქართლისა, ქ. ც., I, გვ. 287.

[5] იქვე, გვ. 284.

[6] Е. Такайшвили, АЭРЗ, IV, с. 63.

[7] იქვე, გვ. 83.

[8] ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 60.

[9] Е. Такайшвили, АЭРЗ, IV, с. 63.

[10] იქვე, გვ. 83—84.

ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ავიღეთ გიორგი I-ის გარდაცვალების წელი, რადგანაც არ ჩანს, თუ როდის შეიპყრო მეფემ ზვიადი. ე. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ წარწერის ზედა ზღვარი 1022 წელია, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული, რადგანაც არ ჩანს არავითარი კავშირი ამ ორ წარწერას (ლიპარიტის გადაცვალებისა და ზვიადის შეპყრობის) შორის.

ბაგრატ IV-ის მეფობაში ბაღვაშებმა თრიალეთზე უფლება აღიდგინეს იმ ერთგული სამსახურის შედეგად, რომელიც მათ გიორგი I-ს გაუწიეს ბასილი კეისართან ბრძოლაში[11]. ბაღვაშთა გაძლიერების შემდეგ კლდეკარის საერისთავოსა და სამეფო ხელისუფლებას შორის ბრძოლა უფრო მძაფრდება. მეფე ცდილობს ეს მიწები სახელმწიფო საერისთავოდ აქციოს და აქ სვამს თავის მოხელეს. ესაა მირიან თარხუნის-ძე, რომელიც მოხსენიებულია ბარმაკსიზის ხიდის წარწერაში:

„სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხუნის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისაჲ, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, სიგრძოსა[12] შინ(ა) ჟამთას(ა) ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი. ამინ“[13].

ეს წარწერა შესრულებულია 1059—72 წწ-ში (ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულის მიღებისა და გარდაცვალების წლები)[14].

მირიან თარხუნის-ძის შესახებ ცნობებს გვაწვდის ატენისა[15] და ვერეს[16] ეკლესიების წარწერები. ამ წარწერებიდან ვიგებთ, რომ მირიან თარხუნის ძე ერისთავია და ტანუტერი.

ს. ბარნაველის აზრით, „ტანუტერი“ საქართველოში ამ დროს „ერისთავის“ ექვივალენტი უნდა ყოფილიყო[17].

ჩვენი აზრით, „ტანუტერი“ სამეფო დომენის გამგებელს ნიშნავდა, რაზედაც უნდა მიუთითებდეს კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერები[18]. აგრეთვე ბაგრატ IV-ის დრო-

---

11 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

12 ე. თაყაიშვილი კითხულობს: „საგარეოს (?)“.

13 Е. Такайшвили, დასახ. ნაშრ. გვ. 68—69.

14 იქვე, გვ. 69—70.

15 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 74.

16 იქვე.

17 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის ახალი წარწერები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მ-ბე, ტ. VII, № 1—2, 1946, გვ. 86.

18 Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Кориди, Известия Императорской Академии наук, 1911, с. 235.

ინდელ საბუთში მოხსენიებულნი არიან ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერები[19]. ეს მხარეები კი, როგორც ცნობილია, სამეფო იყო.

ამრიგად, ატენის სიონის წარწერა მიგვანიშნებს რომ ატენი მეფის ხელშია, ოღონდ განსხვავებით თრიალეთისაგან, ბაგრატ IV-მ ატენი აქცია არა სახელმწიფო საერისთავოდ, არამედ სამეფოდ.

ეს წარწერებიც 1059—72 წწ-ით თარიღდება, რადგან ბაგრატ IV აქაც სევასტოსის ტიტულითაა წარმოდგენილი.

დავით აღმაშენებლის მეფობაში „ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომნი მისი ქუეყანა ლიპარიტს, და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად"[20], მაგრამ ეს ერთგულება დიდხანს არ გაგრძელებულა: „გარდახადა ოთხი წელი... და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა"[21]. დავით IV ეცადა განდგომილი ერისთავის შემორიგებას და 1093 წელს შეიპყრა, დაადებინა ერთგულების ფიცი და გაუშვა, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშმა თავისი არ დაიშალა და დავითმა იგი საერთოდ გაასახლა საქართველოდან ბიზანტიაში[22]. „ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი... მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდჳლვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკჳდრი, რამეთუ აღიხსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან"[23].

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, 1103 წელს გარდაიცვალა ბაღვაშთა სახლის უკანასკნელი წარმომადგენელი რატი ლიპარიტის ძე და კლდეკარის საერისთავო დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ერთეულად აქცია. საკითხი იმის შესახებ თუ რა სტატუსით არსებობდა თრიალეთი და კლდე-კარნი თრიალეთის საერისთავოს გაუქმების შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა იწვევს[24]. აქ ჩვენ ვიზიარებთ ა. ბაქრაძის მოსაზრებას, რომ თრიალეთი ბაღვაშთა განდევნის შემდეგ მაშინვე სამეფო მა-

---

[19] სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზართა და მიჯნაძორ ლთა სამამულე დაეის გამო. 1027—72, ქსძ, II, ი. დოლიძის გამოც., გვ. 89.

[20] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, დასახ. ნაშრ. გვ. 324; იხ ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქეი, II, 1965, გვ. 195; რ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი შრძოლა ფეოდალურ საქართველოში, 1973, გვ 79—82.

[21] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ, 325.

[22] იქვე, გვ. 325.

[23] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 326.

[24] ვ. კ ო პ ლ ი ა ნ ი, კლდეკარის საერისთავო, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1949, გვ. 216; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 81; ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

მული არ გამხდარა. ის ცოტა ხნის განმავლობაში სახელმწიფო მამულია. რომელსაც სახელმწიფო მოხელე-ერისთავი მართავს. ასეთი ერისთავია ვახტანგი, რომელიც ბეშთაშენის ეკლესიის წარწერაშია მოხსენებული:

„სახელითა ღმრთისაჲთა ეს ეკლესიაჲ ჩუენ გურგენისძეთ ავაგეთ ერისთავისა ვახტანგის ბრძანებით, თან დგომით, სალოცველად მათთჳს ქუაბს შემოიწირ(ა) დ დღის ყანაჲ, ჩაეწერ(ა) ჟამის წირვით, დაიდვა ყოველთ წელიწადთ დღე ალუსების ხუთშაბათს. არა შეუცვალოს ეს ლოცვაჲ და ჟამის წირვაჲ, ვიდრე ეკლეს(ია) ესე დგეს, მღვდელი ვინცა შიგან ჟამს წირვიდეს. ვინ შეცვალოს, ღმერთმან მიაგოს. გურგენ მღვდელმან დავწერე ცოდვილმან, უცებად (ვ)ჩხრიკე. ლოც(ვა) ყოთ ვინ, ღმერთმან (გა)კურთხოს, ამინ იყავნ“[25].

ა. ბაქრაძის აზრით, წარწერა გაკათებულია XII ს-ში, ბალვაშთა განდევნის შემდეგ, თამარის გამეფებამდე[26].

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში თრიალეთის კიდევ ერთი ერისთავის შესახებ მოიპოვება ცნობები. ესაა მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომელიც ქვემო ჯინისის წარწერაშია მოხსენიებული.

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისაჲთა მომმადლა ღმერთმან მე, ხოშაქსა, ერისთავთ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულისა, აღშენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა სამსახურად. ი წლისა მკუდარი გამაცოცხლა, ძლიერი დიდებაჲ მიბოძა. ესე მცირედი მსახურებაჲ მიძღვნია“ (წრწ. № 7, ტაბ. VII).

ეს წარწერა შესრულებულია 1178—1185 წწ-ში, აფრიდონის მსახურთუხუცესობის პერიოდში[27]. აფრიდონი ამავე დროს ჯავახეთში მდებარე თმოგვის ციხესაც განაგებს[28], რაც მიუთითებს სამეფო ხელისუფლების მცდელობას, დაუკავშიროს ეს ორი მხარე ერთმანეთს თავის გამგებლობის ქვეშ.

ჯავახეთის საერისთავოზე პირველად ცნობას გვაწვდის კუმურდოს წარწერა.

„სახელითა ღმრთისაჲთა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირ-

---

[25] Е. Такайшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[26] ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[27] ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, როდესაც მსახურთუხუცესის რიგს განვიხილავთ.

[28] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 59.

კეელი ამის ეკლესიისაჲ, ჴელითა ჩემ ცოდვილისა საჴოცრისათა, ლეონ მეფისა ზჱ, ადიდენ ღმერთმან ქრონიკონსა რპდ (184), თუესა მაისსა, დღესა შაფათსა, ა. მთოარისასა. ერისთაობასა ზჳიადისასა ესე ბალავარი მუნ დაიდვა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა, ამენ"[29].

წარწერა, როგორც ტექსტიდან ჩანს, შესრულებულია 964 წელს (780+184). მასში მოხსენიებული ლეონი აფხაზთა მეფეა და ეს არის ერთადერთი ცნობა X ს-ის 60-იან წლებში ჯავახეთის მფლობელთა დასადგენად[30].

ზვიადის შემდეგ ერისთავად ჩანს ვაჩე, რომელიც კუმურდოს ეკლესიის ამბრაზურის კამარაზე მოთავსებულ წარწერაშია მოხსენიებული:

„სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იოანე ებისკოპოსმან დავდევ დღე აღვსება აღაპად ვაჩე ერისთავისა. ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯვარითა"[31].

ე. თაყაიშვილის აზრით, წარწერა X ს-ისაა და მასში მოხსენიებული იოვანე ეპისკოპოსი კუმურდოს სააშენებლო წარწერაში მოხსენიებული იოანეა, ხოლო ვაჩე ერისთავი კი ზემოთ მოყვანილ წარწერაში ნახსენები ზვიად ერისთავის მემკვიდრე[32].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბაგრატ IV-ის მეფობაში ბაღვაშებმა აღიდგინეს თრიალეთზე უფლება. როგორც ჩანს, ბაღვაშების ძალაუფლება ამ პერიოდში ჯავახეთშიც ვრცელდებოდა. ამას ადასტურებს ზედა ვარძიის წარწერა, რომელშიც ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტია მოხსენიებული:

„ქ. ღედაო ღმრთისაო, მეოხეყავ ერისთავთ-ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულსმოდგინებით აღაშენა წმიდათ ესე ეკლესიათ, ამინ"[33].

ვ. ცისკარიშვილი ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ 1051—57 წწ. „ქართლი და მესხეთი ლიპარტს სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა"[34] და თვლის, რომ ზედა ვარძიაც ლიპარიტის ხელთ იყო და სწორედ ამ წლებშია გაკეთებული წარწერა[35].

---

[29] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახ. ეპიგრ. გვ. 10.
[30] იქვე, გვ. 10—11.
[31] იქვე, გვ. 18.
[32] МАК, XII, 1909, გვ. 40.
[33] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[34] ივ. ჯავახიშვილი, ქეი, II, 1948, გვ. 146—147.
[35] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

შემდგომ, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ბაგრატ IV-სა და ბაღვაშებს შორის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა. თრიალეთთან ერთად ბაღვაშები ჯავახეთშიაც კარგავენ გავლენას და აქ მეფე სვამს თავის ერისთავს. ესაა ფარსმანი, რომელიც სათხის ეკლესიის წარწერაშია მოხსენიებული:

„ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერისთავი, აეშენა ესა ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათთა სამლოცველოდ"[36].

აქ ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ წარწერაში მოხსენიებული ფარსმან ერისთავთერისთავი ბაგრატ IV-ის თანამედროვე, ფარსმან თმოგველია[37].

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ბარმაკსიზისა და ატენის წარწერების მიხედვით 1059—72 წწ-ში ატენი და თრიალეთი გადადის ბაგრატ IV-ის გამგებლობაში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბაგრატმა ჯავახეთიც ამ დროს ჩამოართვა ბაღვაშებს. ასეთ შემთხვევაში სათხის ეკლესიის წარწერაც, ბარმაკსიზისა და ატენის წარწერების სინქრონული იქნება და 1059—72 წწ-ით დათარიღდება.

ფარსმან ერისთავთერისთავისა და ფარსმან თმოგველის მოხსენიება წყაროებში მიგვანიშნებს, რომ ჯავახეთის ნაწილი საერისთავოა, ხოლო ნაწილი (თმოგვი) — ფეოდალური მამული.

„მატიანე ქართლისა"-ს ცნობით, ფარსმან თმოგველი ლიპარიტ ბაღვაშის მხარეზეა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლაში: „და ჰყვეს ლიპარიტის კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისსა ერისთავისა"[38].

აქედან მოყოლებული, ვიდრე XII ს-ის 90-იან წლებამდე, ჯავახეთის მფლობელებზე ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, ბაგრატ IV-მ ღალატისათვის დასაჯა ფარსმან თმოგველი და ეს მხარე სამეფოდ აქცია.

XII ს-ის 90-იანი წლებიდან ჯავახეთის ერთი ნაწილი — თმოგვი — ხდება მხარგრძელთა საგვარეულო მამული: „და ამას

---

[36] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 37—38.

[37] იქვე, გვ. 38; რ. გვერდწითელი, თმოგვის წარწერები, საქ. სახ. მუზ. მ-ბე, ტ. XIV, 1947, გვ. 242.

[38] მატიანე ქართლისა, ქ. ც. I, გვ. 298.

შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი, და თმოგჳსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა... შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგჳ"[39].

ეს ის სარგის ვარამის ძეა, რომელიც შემდგომ თმოგველთა საგვარეულოს ფუძემდებელი ხდება.

გარდა მხარგრძელთა საგვარეულო მამულისა, ჯავახეთში სხვა ფეოდალური მამულიც მოიპოვება. ესაა გურგენისძეთა მამული — წუნდა. ამაზე მიგვითითებს წუნდის ეკლესიის სამშენებლო წარწერა: „სახელითა ღმრთისაჲთა მე, იჩქითმან, გურგენის ძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა. სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს" (წრწ. № 9, ტაბ. IX).

როგორც ტექსტიდან ჩანს, იჩქით გურგენის-ძე აშენებს ეკლესიას თავის მამულში. იჩქით გურგენის-ძის შესახებ ქართულ ეპიგრაფიკულ საბუთებში სხვა ცნობებიც შემონახულა. ესაა ვანის ქვაბების 2 წარწერა, ერთ-ერთი მათგანში იჩქით გურგენის ძე თამარ მეფეს იხსენიებს.

„ქ იესოჳ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზედა მე, იჩქითმან, გურგენის ძემან, ავაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ და ჯუარი წმიდისა სუიმეონისი. ვინცა ილოცვიდეთ მეცა მომიხსენეთ". (წრწ. № 8, ტაბ. VIII). მეორე წარწერაში ვანის ქვაბები გურგენისძეთა სამკვიდრებლად იწოდება*.

. ზემოთ მოყვანილი მასალა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თამარის მეფობის პერიოდში ჯავახეთის ნაწილი გურგენისძეთა ფეოდალური მამულია, წუნდა—მათი საგვარეულო ეკლესიაა, ხოლო ვანის ქვაბები — საგვარეულო სამარხი მონასტერი. ჯავახეთში ამავე დროს არსებობს ახალქალაქის საერისთავო. ამას ადასტურებს ჰამამლუს წარწერა: „ქ. ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ. ერისთავი კახაჲ" (წრწ. № 12, ტაბ. XIII სურ. 1).

კახა, სახელის მიხედვით, თორელია, რომელთაც ჰქონდათ ახალქალაქის ერისთავობა. ახალქალაქის ერისთავად იხსენიება

---

[39] ისტორიანი და აზმანი, ქ. ც. II, გვ. 55.

* წარწერა აღმოაჩინა და გამოსაცემად მოამზადა გ. გაფრინდაშვილმა, რომელსაც ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ.

XIII ს-ის შუა წლებში კახა თორელი[40], როგორც ჩანს, ჰამამლუს წარწერაში მოხსენიებული თამარის დროინდელი კახას შვილიშვილი.

თრიალეთი და ჯავახეთის ნაწილი XII ს-ის ბოლოდან, ვიდრე XIV ს-მდე სამეფო დომენია (ლაშა-გიორგის ერთმეფობამდე კი საუფლისწულო დომენად ჩანს). ამ ტერიტორიაზე მოპოვებულ ყველა „ჴელიან" სტელას აქვს ერთი საერთო ნიშანი — გაშლილი ხელის მტევანი, რაც მეფის ძალაუფლების სიმბოლოა. გარდა ხელის გამოსახულებისა, სამ სტელზე გამოსახულია სამეფო ემბლემა. ასეთივე ნიშანი მოიპოვება XII—XIII სს-ში მოჭრილ ქართულ მონეტებზე.

დ. კაპანაძე ამ ემბლემას ადარებს კიევის სამთავროს ვერცხლის პირველ მონეტებზე აღნიშნულ ანალოგიურ ნიშანს, რომელიც მთავართა საგვარეულო ნიშნადაა მიჩნეული და აქედან გამომდინარე თვლის, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად[41]. ამ ნიშნის ხმარება მონეტებზე და სამეფო სტელებზე მოწმობს, უდავოდ, რომ ის წარმოადგენს სამეფო ნიშანს (არა მაინცდამაინც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს). ის ფაქტი, რომ ეს ნიშანი გამოსახულია საუფლისწულო დომენის აღმნიშვნელ სტელებზე, არ ეწინააღმდეგება დასკვნას, რომ ეს ნიშანი სამეფოა. ლაშა-გიორგი, რომლის სტელაზეცაა გამოსახული ეს ნიშანი, იყო როგორც უფლისწული, ისე მეფე (თამარის სიცოცხლეში ლაშა-გიორგი უფლისწული იყო, მაგრამ ამავე დროს მეფეც, რადგან თამარმა ის თანამოსაყდრედ აკურთხა).

სამეფო ნიშნის გამოსახვა „ჴელებზე" და მონეტებზე ერთსა და იმავე დროს ეკუთვნის[42], კერძოდ, არ სცილდება XIII საუკუნეს.

ჩვენამდე მოღწეული წარწერიანი „ჴელები" აშკარად მიუთითებენ სამეფო ხელისუფლების პრიორიტეტს ამ მხარეში. გუნიაყალას წარწერა და ლაშა-გიორგის სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილი „გიორგი მეფისა, თამარის ძისა, ჯავახთ უფლისა"[43] ადასტურებენ, რომ ლაშა-გიორგის ერთმეფობამდე (1207 წ.) ეს მხარე უფლისწულის გამგებლობაშია და არა მეფის. ამასვე მიუთითებს ბარალეთის ეკლესიის წარწერა:

---

[40] ქამთააღმწერელი, ქ. ც., II, 439.

[41] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 50.

[42] იქვე, გვ. 50.

[43] იქვე, გვ. 51.

„აღეშენა ეკლესიაი ესე მათ ჟამთა შინა ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა საყდარსა· ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხორებათა შინა“ (წრწ. № 18, ტაბ. XX).

წარწერა შესრულებულია ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ კურთხევის წელს (1202 წ.). შემდგომ, როგორც ჩანს, ლაშა-გიორგიმ ეს მხარე აქცია სამეფო დომენად, რასაც მოწმობს აქ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული რუსუდანისა და ულუ დავითის „პელიანი“ სტელების აღმოჩენა.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჯავახეთი ამ დროს სამ ნაწილად იყო დაყოფილი: 1. სამეფო დომენი, 2. საერისთავო (ახალქალაქის საერისთავო) და 3. ფეოდალური მამული (თმოგვი, წუნდა).

გუნია-ყალას წარწერის საფუძველზე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საუფლისწულო დომენის გამგებლობაში მონაწილეობას იღებს მეფის სავაზირო-უხუცესი ვაზირები (მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ამ თვალსაზრისს ამტკიცებს ის, რომ სამეფო მონასტრების მშენებლობასა და მეთვალყურეობაში მონაწილეობას იღებს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. დავით აღმაშენებელი თავის 1123 წლის ანდერძში შიომღვიმის ეკლესიაზე ზრუნვას მწიგნობართუხუცესს ავალებს[44].

თამარის მეფობის პერიოდში სამონასტრო მშენებლობას ეწევა ანტონ ჭყონდიდელი. ეს ფაქტი ასახულია ვაჰანის წარწერაში: „იესუ ქრისტე, შეიწყალე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ. წელსა მეფობისა მათისასა კ (-20) ანტონ ჭყონდიდლისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე, შეუნდვენ ღმერთმან“ (წარწ. № 17, ტაბ XIX).

ჩვენი აზრით, ვაჰანის წარწერა შესრულებულია არა 1204 წელს (როგორც მას ათარიღებენ მკვლევრები[45]), არამედ 1198 წელს. რადგანაც მეფეები თავიანთ გამეფების ინდიქტიონებს ანგა-

[44] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი [1123 წ.], ქსძ, II, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 13—14.

[45] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, სის, I, 1964, გვ. 116; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 397; ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 45—52; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბ., 1939, გვ. 12.

რიშობენ პირველი კურთხევიდან[46], ე. ი. თამარის მეფობის 20 წელი გვაძლევს 1198 წელს (1178+20).

დასასრულს, ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ჯავახეთი XIV ს-ში გადაიქცა „პროვინციულ სამეფოდ“ და მას მართავდა ამ „პროვინციული სამეფოს“ ერთი შტო — ალასტანელები[47].

---

[46] თ. ენუქიძე, ნ. შოშიაშვილი, თამარის სიგელი გელათისადმი როგორც საისტორიო წყარო (თეზისები), საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლისა და გამოცემის საკითხები, საკავშირო სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 8—10 ოქტომბერი, 1979.

[47] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, სის, II, გვ. 145; ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVI სს.), 1965, გვ. 88—89.

# ცნობები სამოხელეო წყობილებაზე

## 1. უხუცესი ვაზირები და მათი რიგი XII ს. ბოლოს და XIII ს. დასაწყისში

XII—XIII სს-ის მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა უხუცეს-ვაზირთა ინსტიტუტი[1], რომელიც დიდ როლს თამაშობდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სამეფო კარზე წამოიჭრებოდა, მეფე განიხილავდა უწყების გამგე უხუცესებთან—ვაზირებთან ერთად. ივ. ჯავახიშვილს ფართოდ აქვს განხილული ეს საკითხი. მისი აზრით, „საქართველოში XII ს-ში ერთ უზენაესს მინისტრს კი არ რქმევია ვაზირი, როგორც არაბთა სახალიფოსა და სპარსეთში იყო მიღებული, არამედ რამდენიმე ვაზირი ყოფილა, ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი და ქართველი ჟამთააღმწერელი ამბობდნენ ხოლმე „ვაზირნი“-ო[2]. საკითხის შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვაზირებში „პირველობა მწიგნობართუხუცესს ჰკუთვნებია, შემდეგ ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, და სულ ბოლოს მსახურთუხუცესი ყოფილა — ცხადია, რომ სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა, მაშინ მწიგნობართუხუცესის შემდგომ ყველაზე უფროსი ვაზირთა შორის მანდატურთუხუცესი იქნებოდა“[3].

ჩვენი აზრით, მანდატურთუხუცესზე წინ იდგა ამირსპასალარი. XII—XIII სს-ის მიჯნაზე ამირსპასალარი ერთ-ერთი პირვე-

---

[1] შ. მესხიას აზრით, დავით აღმაშენებლის დროიდან არსებობდა ერთი ვაზირი, ხოლო XIII ს-ში ვაზირი ეწოდა უწყების გამგებელ სხვა უხუცესებსაც. იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII ს-ის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 70—75.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, თბ., 1928, გვ. 121.

[3] იქვე, გვ. 123—124.

ლი მოხელეა და მისი მანდატურთუხუცესზე წინ დაყენება სავსებით კანონზომიერია. ამას მოწმობს გუნია-ყალას წარწერა. გარდა ამისა, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის პატივი „ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით სწორია[4].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით დაკნინდა, დასუსტდა, აგრეთვე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო და პირველი ვაზირი გახდა ათაბაგი: „ცენტრალური ხელისუფლების ასეთი დასუსტებისას, ადვილი გასაგებია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „ჴელის" მნიშვნელობა კიდევ უფრო შესუსტდა. XIII ს-ში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი" ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის"[5].

ქართულ წყაროებში მოგვეპოვება ცნობები უწყების გამგებელ უხუცეს-ვაზირთა შესახებ. ესენი იყვნენ:

I. ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი;

II. ამირსპასალარი;

III. მანდატურთუხუცესი;

VI. მეჭურჭლეთუხუცესი;

V. მსახურთუხუცესი.

თამარის შემდგომ მოხდა ათაბაგის დაწინაურება, რომელმაც სავაზიროში ჭყონდიდელის ადგილი დაიჭირა.

ჩვენი მიზანია აღნიშნულ უხუცეს-ვაზირთა ქრონოლოგიური რიგის დადგენა XII—XIII სს-ის მიჯნაზე.

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ შუქი მოგვეფინა ამ საკითხისათვის ქართული ნარატიული წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის შესწავლით. ნარატიული წყაროების („ისტორიანი და აზმანი", ბასილი ეზოსმოძღვარი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი) ცნობები ამ საკითხზე შეიცავს ქრონოლოგიურ აღრევებს, რის გამოც მისი დაზუსტება უნდა მოხდეს ეპიგრაფიკული ძეგლების საფუძველზე.

ზემოთ უკვე განვიხილეთ ნაწილი იმ ეპიგრაფიკული ძეგლებისა, სადაც დაცულია ცნობები დარბაზის რიგის მოხელეებზე.

---

[4] ხელმწიფის კარის გარიგება, ქსძ, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 96.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი) სის, II, 1965, გვ. 59—60.

ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა ლაშა-გიორგის „ჭელი" (გუნია-ყალას წარწერა), სადაც მოცემულია უწყების გამგე უხუცესთა სია ხუთი ვაზირის შემადგენლობით.

ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვაჰანის წარწერა.

განძანის წარმოებაში დაცულია ცნობები შალვა თორელ-ახალციხელზე, რომელიც ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ხოლო შემდეგ მიიღო მანდატურთუხუცესობა.

ქვემო ჯინისის წარწერაში შემონახულია ცნობა მსახურთუხუცეს აფრიდონის შესახებ.

გარდა ამ წარწერებისა, აღსანიშნავია ანდრია მოციქულის ხატის წარწერა, რომელშიც მოიხსენიება მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი: „ქ. მ ყოვლად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღვთისაო ანდრია, შეიწირე [მცირე]დი ესე მსახურებაჲ ჩემგან, ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურ[ჭლეთ] უხუცესისა აბულასანისაგან, იოანის ძისა..."[6].

წარწერას ექ. თაყაიშვილი XII ს-ით ათარიღებს.

ერისთავთერისთავად და ქართლის ამირად მოიხსენიება აბულასანი თბილისის „ლურჯი მონასტრის" წარწერაში, რომელსაც ვ. ბერიძე XII—XIII სს-ის მიჯნით ათარიღებს: „...ნაცვალსაგებელად ჩემთჳს და საყუარლისა ძმისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა; რუჲსთვისა და შუდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასნისათჳს..." (წრწ. № 14, ტაბ. XVI).

ე. თაყაიშვილი ანდრია მოციქულის ხატისა და „ლურჯი მონასტრის" წარწერების აბულასანს ერთი და იგივე პირად მიიჩნევს[7]. ამავე მოსაზრებას იზიარებს ვ. ბერიძე[8].

დარბაზის რიგის მოხელეების შესახებ სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მოიპოვება ცნობები. მაგალითად ჰარიჭის წარწერაში მოიხსენიება ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი: „მე ზაქარიამ სომეხთა და ქართველთა მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარმან, ძემ დიდი სარგისისამან შევქმენი განძი საქვეყნოდ ცნობილი წმინდა ძმობისა ჰარიჭისათჳს. ჩემი უფლის თამარ დედოფლის დღეგრძელობისათვის. ჩემი და ჩემი ღვიძლი

---

[6] Е. Такайшвили, АЭРЗ, II, 1905, с. 70—71.

[7] იქვე.

[8] ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის „ლურჯი მონასტერი", ქართული ხელოვნება, ტ. II, 1948, გვ. 99.

ძმის ივანეს, ჩვენთა პირმოშოთა შაჰანშაჰისა და ავაგის და ჩვენ მშობელთა სახსნელად...“[9].

საერთოდ სომხური წარწერების მიხედვით ქრონოლოგიის დადგენა ძნელია, რადგანაც აქ თარიღები აღრეულია და ფაქტებიც ზოგჯერ გაყალბებულია (მაგ., ანისის წარწერაში შანშა მხარგრძელი მოხსენიებულია მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად[10], შანშა კი ამირსპასალარი არ ყოფილა).

ასეთია, ზოგადად, ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობები უხუცეს-ვაზირებზე. ახლა განვიხილავთ აღნიშნული პერიოდის უხუცეს-ვაზირებს პიროვნულად ცალ-ცალკე და შევეცდებით მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას.

### ა) ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

საქართველოს სამეფო კარზე განსაკუთრებულად მაღალი მდგომარეობა ეჭირა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს. პირველად მწიგნობართუხუცესი მოიხსენიება X—XI სს-დან, ხოლო მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის სახელოს შეერთება მოხდა XII ს-ში, დავით აღმაშენებლის დროს[11]. ეს საკითხი აქვს განხილული პ. ინგოროყვას და გვაძლევს ვაზირთა შემდეგ ქრონოლოგიურ რიგს:

ანტონ გლონისთავის ძე—1178—1184/5; 1189/90—1210 წწ.

მიქაელ III მირიანის ძე — 1184/5—1189/90 წწ.

დავით ჭყონდიდელი — 1210-იანი — 1220-იანი წწ[12].

გიორგი III-ის გარდაცვალებისას ეს თანამდებობა ეკავა ანტონ ჭყონდიდელს: „მიქაელ პატრიარქი და ვაზირი ანტონი“[13]. შემდგომ ეს სახელო უკავია მიქაელს, რომელმაც, როგორც წყა-

---

[9] პარიჟის წარწერა, Վիմական տարեգիր, კოსტანიანცის გამოცემა, პეტერბურგი, 1914, გვ. 43.

[10] Դիվան Հայ վիմագրության պ. I, կազմեց Հ. Օրբելի, Երևան. 1966, გვ. 32.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქეი, წ. II, ნაკვ. II, თბ., 1928, გვ. 124—126; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, სის, III, 1966, გვ. 11—12; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 244—245.

[12] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ., კრ. ტ. I, თბ., 1963, გვ. 576—579.

[13] ისტორიანი და აზმანი, გვ. 25.

როებიდან ჩანს, მისტაცა ანტონ ჭყონდიდელს ეს ხელი. მიქაელი გარდაიცვალა თამარის დავით სოსლანზე ქორწინების ახლო ხანებში ე. ი. 1188 წელს[14] და ანტონმა კვლავ დაიბრუნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო[15]: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ... მოიყვანეს ანტონი გლონისთავისძე გარეჯით, რომელი პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მოსტაცა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისჴევი და მწიგნობართუხუცესობა“[16], დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი“[17].

ანტონ ჭყონდიდელი მოხსენიებულია აგრეთვე ვაჰანის წარწერაში. რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ 1198 წლით არის დათარიღებული. ვაჰანის წარწერის თარიღზე აზრს ამტკიცებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ანტონ ჭყონდიდელი, რომელიც 1201 წლის შეწირულების საბუთში ქრისტეს სწორად იხსენიება[18], ბასიანის ომში საერთოდ არაა ნახსენები. ბასიანის ომი, როგორც ცნობილია, იყო 1202—1203 წწ.[19]. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონ ჭყონდიდელი ამ დროისათვის გარდაცვლილია.

ანტონის გარდაცვალების შემდეგ ვის უჭირავს ეს ჴელი, არა ჩანს. პ. ინგოროყვას 1210-იან 1220-იან წლებში დასახელებული ჰყავს დავით ჭყონდიდელი[20], მოხსენიებული იერუსალიმური №13 ხელნაწერის ანდერძში. ამ ხელნაწერს ა. ცაგარელი (მას ანდერძის ტექსტი არ მოჰყავს) ათარიღებს XIII—XIV სს-ით[21]. ხოლო რ. ბლეიკი (მას გამოქვეყნებული აქვს ანდერძის ტექსტი) —XIII-

---

14 თამარის გიორგი რუსზე ქორწინებისა და ლაშა-გიორგის დაბადებისა და თანამოსაყდრედ კურთხევის თარიღები ზემოთ გვაქვს განხილული.

15 შდრ. შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 82—93.

16 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა, ქ. ც., II, 1959, გვ. 122—123.

17 ისტორიანი და აზმანი, გვ. 32.

18 [შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი], [1201 წ.], ქსძ., II, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 32.

19 ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 247—256, გ. ალასანია, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1975, გვ. 89—92.

20 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 579.

21 А. А. Цагарели, сведения о памятниках грузинской письменности, II, № 131, 1898, с. 38.

XVI სს-ით: „ო̃ო ღ̃ო ადიდე შ̃ნ მიერითა დიდებითა და აკმარენ წ̃ნი ესე წიგნნი დღეგრძეულებასა შ̃აწ̃ა მეუფესა: ღ̃თ: ჰყონ-დიდლისა: ამინ: იყავნ“[22].

ანდერძი უთარიღოა. ხელის მიხედვით (შესრულებულია ნუს-ხა-ხუცური დამწერლობით) ის შეიძლება დათარიღდეს XIII — XIV სს-ით. სხვა მონაცემები დავით ჰყონდიდელზე საისტორიო წყაროებში არ გაგვაჩნია, ამიტომ გაუგებარია პ. ინგოროყვას და-თარიღების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავას-კვნათ, რომ თამარის მეფობის ხანაში ჰყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის კელი ჰქონდათ შემდეგ პირებს:

I. ანტონ ჰყონდიდელი — 1) 1178—1185 წწ.

2) 1188—1201/1202 წწ.

II. მიქაელი — 1185—1188 წწ.

ბ) ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი

XII—XIII სს-ის მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე თა-ვისი მდგომარეობით და უფლებით, ჰყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის შემდეგ; მეორეა ამირსპასალარი და მანდატურთუხუცე-სი. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, „კელმწიფის კარის გა-რიგების“ მიხედვით, მათი პატივი სწორია.

ამირსპასალარი პირველად გვხვდება გიორგი III-სა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში[23]. ასევე გიორგი III-ის დროს არის პირველად მოხსენიებული მანდატურთუხუცესი, რომლის სა-განგებო ნიშანი „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, ოქროს არგანი უნდა ყოფილიყო[24].

პ. ინგოროყვას აზრით, თამარის მეფობის ხანაში ამ ორი კე-ლის მქონენი იყვნენ:

ყუბასარი — ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი 1178—1184/5 წწ.

სარგის მხარგრძელი — ამირსპასალარი 1184/5—1187 წწ.

გამრეკელი I კახას ძე თორელი — ამირსპასალარი 1187—1191 წწ.

---

[22] Robert P. Blake Catalogue des manuscripts Georgiens de la Biblioteque Patriarchate Grecque a Jèrusalem, Paris, 1924, s. 33—34.

[23] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

[24] იქვე, გვ. 157, 158.

ჭიაბერი — მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი 1191 წ.

ჭიაბერი — მანდატურთუხუცესი 1184/5—1205 წწ.

ზაქარია I მხარგრძელი—ამირსპასალარი 1191—1211 წწ. მანდატურთუხუცესი 1210—1211 წწ.

ივანე მხარგრძელი — ათაბაგ ამირსპასალარი — 1211 — 1227 წწ.

შალვა თორელ-ახალციხელი—მანდატურთუხუცესი 1205 — 1210 წწ.[25].

ყუბასარი გიორგი III-ის გარდაცვალების დროს მხოლოდ ამირსპასალარად მოიხსენება: „ამირსპასალარი ყუბასარ"[26], ხოლო თამარის მეფედ მეორედ კურთხევის დროს კი — ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად: „ყუბასარ... იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი"[27]. როგორც ცნობილია, გიორგი III გარდაიცვალა და თამარი მეორედ ეკურთხა მეფედ 1184წ.

ყუბასარის შემდეგ ამირსპასალარად ჩანს სარგის მხარგრძელი. „ისტორიანი და აზმანის" ცნობით, სარგის მხარგრძელმა ამირსპასალარის საჴელო მიიღო 1185 წელს, თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ: „განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი"[28].

სარგის მხარგრძელი ამ თანამდებობაზე შეცვალა გამრეკელ თორელმა: „უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელიც ამირსპასალარცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა"[29] მისი ამირსპასალარობა შეწყდა 1188 წელს, თამარის დავით სოსლანზე ქორწინებისა და გიორგი რუსის აჯანყების ახლო ხანებში: „მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს"[30].

გამრეკელი თორელის შემდეგ ამ თანამდებობაზე უნდა ყოფილიყო ჭიაბერი. ამას ამტკიცებს შეწირულების საბუთი, სადაც იგი თავისთავს ასე მოიხსენიებს: „მე მანდატურთუხუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან"[31].

ჭიაბერის საბუთის დათარიღებაზე არსებობს მკვლევართა

---

[25] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 576—579.

[26] ისტორიანი და აზმანი, გვ. 25.

[27] იქვე, გვ. 30.

[28] იქვე, გვ. 33.

[29] იქვე.

[30] ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[31] [შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა შიომღვიმისადმი], [1189—92], ქსძ, II, გვ. 28—30.

სხვადასხვა მოსაზრება[32]. ჩვენ საბუთს ვათარიღებთ გიორგი რუსის აჯანყების, ე. ი. 1188 წ., ახლო ხანებით.

ქართული ნარატიული წყაროები საერთოდ არ იცნობენ ჰიაბერს, როგორც ამირსპასალარს. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, გამრეკელ თორელი ამ თანამდებობაზე შეცვალა ზაქარია მხარგრძელმა: „მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი... მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისა“[33]. „ზაქარიას უბოძა ამირსპასალარობა“[34].

ცხადია, ნარატიულ წყაროებს გამორჩათ ჰიაბერის ამირსპასალარობა. როგორც ჩანს, შამქორის ომის ახლო ხანებში ჰიაბერი გარდაიცვალა, რადგანაც იგი საერთოდ აღარ იხსენიება. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (იგი თ. ჟორდანიას ემყარება), შამქორის ომი მოხდა 1195 წელს, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ დროს ლაშაც დაბადებულია და რუსუდანიც[35]. ამ თარიღს მხარს უჭერს ერთი უსახელო სომხური ქრონიკა[36].

გარდა ამირსპასალარობისა, ჰიაბერს ეჭირა მანდატურთუხუცესის თანამდებობაც. „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, „ჰიაბერმა ეს საჭელო მიიღო თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ, ე. ი. 1185 წელს: „განაჩინა და უბოძა ჰიაბერსა მანდატურთუხუცესობა“[37]. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, ჰიაბერმა ეს ხელი მიიღო თამარის დავით სოსლანზე ქორწინებისა და გიორგი რუსის აჯანყების შემდეგ, ე. ი. 1188 წელს: „შემდგომად მოიყვანეს ჰიაბერი“[38]. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა „ისტორიანი და აზმანის“ ცნობა, რადგან 1185—88 წწ-ში სხვა მანდატურთუხუცესი არ ჩანს და, ცხადია, ეს ხელი ვინმეს უნდა სჭეროდა.

ჰიაბერის შემდეგ ამირსპასალარია ზაქარია მხარგრძელი. ზაქარიას ეს ჰელი უჭირავს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხოლო იგი გარდაიცვალა, როგორც ცნობილია, 1212 წელს. ზაქარია ამირსპასალარად მოიხსენიება შამქორის ომში: „და გაგრძელდა ომი... მაშინ ცნეს მჯარგრძელთა, ძეთა სარგისისთა ზაქარია ამირსპასალარ-

[32] [შეწირულების დაწერილი ჰიაბერისა შიომღვიმისადმი], [1189—92], ქსძ, II, გვ. 28, 593.

[33] ისტორიანი და აზმანი, გვ. 55.

[34] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქეი, ტ. II, 1948, გვ. 270.

[36] ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, შამქრის ბრძოლის თარიღისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1973, გვ. 114—118.

[37] ისტორიანი და აზმანი, გვ. 33.

[38] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

მან და ივანე მსახურთუხუცესმან“[39]. იგი წინამებრძოლია, აგრეთვე, ბასიანის ბრძოლაშიც: „ხოლო წინამებრძოლად იყო ზაქარია მქარგრძელი ამირსპასალარი“[40].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შამქორის ომის შემდეგ, 1195 წ., ჭიაბერი აღარ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე. ჩვენი აზრით, იგი მანდატურთუხუცესის თანამდებობაზეც შეცვალა ზაქარია მხარგრძელმა. „ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან“ ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად მოიხსენიება, როდესაც 12 წლის ლაშა გამეფდა[41]. ლაშა-გიორგი კი გამეფდა 1202 წელს[42]. ამავე წოდებით არის მოხსენიებული ზაქარია 1201 წლით დათარიღებულ ჰარიჭის წარწერაში[43], რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ზაქარია მხარგრძელის შემდეგ მანდატურთუხუცესია შალვა თორელ-ახალციხელი. ბასიანის ომის დროს შალვა მანდატურთუხუცესი წინამებრძოლადაა დასახელებული[44].

შალვას მანდატურთუხუცესობას ამტკიცებს აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განძანის წარწერა. შალვა თორელ-ახალციხელი მოხსენიებულია აგრეთვე გუნია-ყალას 1202—07 წწ-ის წარწერაში (ეს წარწერაც ზემოთ გვაქვს მოყვანილი) მანდატურთუხუცესის რიგში.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თამარის მეფობის ხანაში ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ჭელი ეკავათ შემდეგ პირებს:

## I. ამირსპასალარი

1. ყუბასარი 1178—1184 წწ.
2. სარგის მხარგრძელი } 1185—1188 წწ.
3. გამრეკელი თორელი } 1185—1188 წწ.
4. ჭიაბერი 1188—1195 წწ.
5. ზაქარია მხარგრძელი — 1195—1212 წწ.

---

[39] ისტორიანი და აზმანი, გვ. 70.

[40] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

[41] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქ. ც, I, 1955, გვ. 370.

[42] იხ. აქვე, გვ. 23.

[43] შდრ. შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

[44] ამ საკითხზე იხილე აქვე, გვ. 27—38.

## II მანდატურთუხუცესი[45]

1. ყუბასარი — 1178—1184 წწ.
2. ჭიაბერი — 1185—1195 წწ.
3. ზაქარია მხარგრძელი — 1195—1202/03 წწ.
4. შალვა თორელ-ახალციხელი — 1202/03—1215 წწ.

### გ) მეჭურჭლეთუხუცესი

უხუცეს-ვაზირთა რიგში მეოთხეა მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესი პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში XII ს-ში იხსენიება, მაგრამ ეს, ალბათ, შემთხვევითი მოვლენაა, რადგან „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, „მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირია"[46].

თამარის მეფობის ხანაში პირველად ამ ხელის მქონედ ჩანს ყუთლუარსლანი. „ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი"[47] მოიხსენიება „ისტორიანი და აზმანში" გიორგი III-ის სიკვდილის შემდგომ, ე. ი. 1184 წელს, მაგრამ განდგომისათვის თამარმა „შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი"[48] 1185 წელს (თამარის გიორგი რუსზე დაქორწინების წინ). ამავე პერიოდში (ე. ი. 1185 წ). თამარმა „უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანს კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა"[49].

თამარის მეფობის ხანაში მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს აბულასანი. იგი ქართლისა და თბილისის ამირაა და მისი რჩევით მოიყვანენ გიორგი რუსს[50], რაც მიგვანიშნებს მის გავლენას სამეფო კარზე. ამავე თანამდებობით მოიხსენიება იგი თბილისის „ლურჯი მონასტრის" წარწერაში, ხოლო ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში ერისთავთერისთავად და მეჭურჭლეთუხუცესად მოიხსენიება (ორივე ეს წარწერა ზემოთ გვაქვს განხილული). აქ ჩვენ ვიზიარებთ შ. მესხიას მოსაზრებას, რომ „გიორგი რუსის საქართველოდან განდევნასთან ერთად დაეცა აბულასანიც — მან დაკარგა ყველა თანამდებობა, აბულასანისა და მის მომხრეთა ცდა—

---

[45] შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 102—110.

[46] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 167.

[47] ისტორიანი და აზმანი, გვ. 25.

[48] იქვე, გვ. 31.

[49] იქვე, გვ. 33.

[50] იქვე, გვ. 36.

ხელახლა დაებრუნებინათ გიორგი რუსი სამეფო ტახტზე—უშედეგოდ დამთავრდა და აბულასანიც საბოლოოდ გაქრა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან“[51].

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ორი ხელნაწერის—ტიშენდორფისეული ნუსხისა და იერუსალიმის სვინაქსარის (Jer. 24—25) მიხედვით დაწესებულია „წირვაჲ და აღაპი“ და „აღაპი“ შოთა მეჭურჭლეთუხუცესისათვის:: „ორშაბათსა სულისა წმიდისა მოძღვარისა წირვაჲ და აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ შეუნდვენ ღმერთმან“[52]; „ამავე ორშაბათსა აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ, ვინ შეცვალოს შემცა-ცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა“[53].

მეჭურჭლეთუხუცესია აგრეთვე შალვა თორელ-ახალციხელი. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული განძანის ეკლესიის წარწერები. ამავე წარწერებიდან ვგებულობთ, რომ შალვა-თორელ ახალციხელს შემდგომ მანდატურთუხუცესობა მიუღია. შალვას მიერ მანდატურთუხუცესობის მიღება და მეჭურჭლეთუხუცესობის დატოვება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 1202—1203 წწ. რადგან გუნია-ყალას წარწერასა და ბასიანის ომში იგი უკვე მანდატურთუხუცესია.

თამარის მეფობის ბოლო პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს ოვსიყმა. იგი მოხსენიებულია გუნია-ყალას 1202/07 წწ-ის წარწერაში. ოვსიყმას შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს ყვარყვარე ჯაყელი. ამ ჭელის მფლობელად ის პირველად იხსენიება 1220 წლის საგიმის ბრძოლაში[54]. როდის შეცვალა მან ოვსიყმა არ ჩანს.

ამრიგად, თამარის მეფობის პერიოდში მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მფლობელნი იყვნენ შემდეგი პირები:

1. ყუთლუ-არსლანი 1178—1185 წწ.
2. კახაბერ ვარდანის ძე } 1185—1188
3. აბულასანი }
4. შოთა } 1188—1202/03 წწ.
5. შალვა თორელ-ახალციხელი }
6. ოვსიყმა 1202/03 წწ-დან არა უგვიანეს 1220 წ.

---

[51] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 141.

[52] მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, № 71, გვ. 75.

[53] იქვე, № 317, გვ. 108.

[54] ჟამთააღმწერელი, ქ. ც., II, თბ., 1959, გვ. 165.

დ) მსახურთუხუცესი

ქართულ ნარატიულ წყაროებში მსახურთუხუცესიც პირველად XII ს-ში, გიორგი III-ის მეფობაში, მოიხსენიება, მაგრამ საფიქრებელია, რომ მსახურთუხუცესი ძველი ჴელი უნდა იყოს[55].

თამარის მეფობის ხანაში პირველად ამ ჴელის მქონედ მოიხსენიება აფრიდონი: „აფრიდონ მსახურთუხუცესი"[56] — გიორგი III-ის სიკვდილის შემდგომ, ე. ი. 1184 წელს. ამ პატივით მოიხსენიება იგი აგრეთვე XII ს-ის ქვემო ჯინისის წარწერაში, რომელიც ზემოთ გვაქვს განხილული.

გიორგი რუსზე დაქორწინების წინ, 1185 წ., თამარმა „უბოძა... მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა"[57]. აქედან მოყოლებული გიორგი რუსის აჯანყებამდე ვარდან დადიანი მსახურთუხუცესია[58], ხოლო გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ თამარმა ეს ჴელი უბოძა ივანე მხარგრძელს: „შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძეს ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა"[59]. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, ამის შემდგომ ივანე მხარგრძელი ჩანს მსახურთუხუცესად[60].

„ისტორიანი და აზმანის" ცნობით, ვარამ გაგელს მსახურთუხუცესობა უბოძა თამარმა[61]. როგორც ჩანს, ეს არის „ისტორიანი და აზმანის" ავტორის ქრონოლოგიური აღრევა: ვარამ გაგელი მსახურთუხუცესად იხსენიება ჟამთააღმწერელთან პირველად 1220 წელს — საგიმის ბრძოლის წინ[62]. როდის მიიღო მან ეს ხელი, არ ჩანს, მასზე ადრე კი, თამარის მეფობის ბოლო წლებში (არა უგვიანეს 1207 წლისა) ივანე მხარგრძელი შეცვალა ვაჩემ[63], რომელიც გუნია-ყალას წარწერაში მსახურთუხუცესის რიგშია მოხსენიებული. ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ როდის შეცვალა ვარამ გაგელმა ვაჩე. ეს შეიძლება მომხდარიყო 1207-სა და 1220 წლებს შორის.

---

[55] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 182.

[56] ისტორიანი და აზმანი, გვ. 25.

[57] ისტორიანი და აზმანი, გვ. 33.

[58] იქვე, გვ. 40—43.

[59] იქვე, გვ. 55.

[60] იქვე, გვ. 60, 67, 68, 96, 101; ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, დას. ნაშრ. გვ. 137.

[61] ისტორიანი და აზმანი, გვ. 110.

[62] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ც., II, გვ. 164.

[63] იხ. აქვე, გვ. 32.

ამრიგად, XII—XIII სს-ის მიჯნაზე, საქართველოს სამეფო კარზე მსახურთუხუცესის ჴელი ეპყრათ შემდეგ პირებს:

1. აფრიდონი 1178—1185 წწ.
2. ვარდან დადიანი 1185—1188 წწ.
3. ივანე მხარგრძელი — 1188—1202/07 წწ.
4. ვაჩე 1202/07 — არა უგვიანეს 1220 წ.

ე) ათაბაგი

ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ათაბაგობა უცხოური წარმოშობის ინსტიტუტია და საქართველოში თურქული სამყაროდანაა შემოსული[64]. ათაბაგობა შეიძლება კიდევ სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული, მაგ., ავაგ მხარგრძელსა და სადუნს ათაბაგობა და ამირსპასალარობა ერთსა და იმავე დროს ჰქონდათ[65].

ივ. სურგულაძეს ფართოდ აქვს განხილული ეს საკითხი და მიდის შემდეგ დასკვნამდე:

1. ათაბაგობის სახელო საქართველოში წარმოიშვა მსხვილი ფეოდალების მიერ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. იგი მსხვილი ფეოდალების გამარჯვების ერთ-ერთი შედეგი იყო.

2. ათაბაგობა, პირველ რიგში , მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ იყო მიმართული. ათაბაგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ფუნქციების მითვისებას ცდილობდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა, საბოლოო ჯამში, მეფის ხელისუფლების დასუსტებას ისახავდა მიზნად, რადგან სწორედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი. ამიტომაც ათაბაგობის სახელოს წარმოშობა საქართველოს პოლიტიკურად დაშლის ხელისშემწყობი პირობა იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის ამ უცნობმა ინსტიტუტმა საქართველოში ფრთა შეისხა და გაძლიერდა.

---

[64] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 7—8.

[65] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 182.

3. ათაბაგს საქართველოშიც, ისე როგორც უცხო სახელმწიფოში, მეფის მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ ბრძოლაში ათაბაგს სასახლეში გავლენის მოსაპოვებლად სწორედ ეს ფუნქცია ესაჭიროებოდა.

მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია სახელმწიფო სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა.

4. ათაბაგი დარბაზისა და სავაზიროს წევრი იყო.

5. ათაბაგი ერთსა და იმავე დროს ცენტრალური აპარატის მოხელე იყო, როგორც ვაზირი და ადგილობრივი მმართველობის მოხელე, როგორც მთავარი[66].

ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ პატივცემული მეცნიერის ამ მოსაზრებებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ათაბაგი თავდაპირველად არ იყო მთავრობის წევრი. ამას მოწმობს „ჴელმწიფის კარის გარიგება“, სადაც ნათქვამია: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია“[67]. თავდაპირველად ათაბაგი მხოლოდ უფლისწულის გამზრდელი და მეურვე (რეგენტი) იყო. შემდეგ მოხდა მისი დაწინაურება და მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კვლავ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა მთავრობის მეთაურად, პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ სინამდვილეში გახდა ათაბაგი[68].

ქართული წყაროების ცნობით, პირველად ათაბაგად მოიხსენიება ივანე ახალციხელი: „ხოლო მეფემან ყიდო და მიითუალა კარი და უბოძა ათაბაგობა“[69]. მაგრამ ივანე ახალციხელის ათაბაგობის შინაარსი სხვაა. იგი მხოლოდ მხარის გამგებელია და არა უფლისწულის აღმზრდელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. თამარმა ეს ჴელი უბოძა ივანე მხარგრძელს[70]: ივანე მხარგრძელი გაათაბაგდა თამარის დროს, ე. ი. არა უგვიანეს 1207 წლისა. წყაროებში ივანე მხარგრძელი სიკვდილამდე ათაბაგად მოიხსენიება.

---

66 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

67 ჴელმწიფის კარის გარიგება, ქსძ, II, გვ. 95.

68 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), სის, II, გვ. 59—60.

69 ისტორიანი და აზმანი, გვ. 92.

70 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, სის, III, გვ. 110.

იგი გარდაიცვალა 1227 წელს: ხვარაზმელთა პირველი შემოსვლის „შემდგომად ორისა წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი"[71], ხვარაზმელთა პირველი შემოსვლა კი, როგორც ცნობილია, იყო 1225 წელს.

## 2. ერისთავთერისთავები, ერისთავები, ამირთამირები, ამირები

XII—XIII ს-ის საქართველოში უხუცეს-ვაზირთა და სამეფო დომენის გამგებელი ერისთავების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ერისთავებს და ამირებს.

ქართულ ნარატიულ წყაროებთან ერთად, ამ საკითხის შესწავლაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობები.

ქართული ნარატიული წყაროებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ისტორიანი და აზმანის" ცნობა ამ პერიოდში საქართველოში არსებულ ერისთავებზე და საერისთავოებზე: „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის-ძე — სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის-ძე — რაჭის ადა თაკუერის ერისთავად; და ოთაღო შარვაშის-ძე — ცხუმის ერისთავად: ამანელის-ძე — [არგუეთის ერისთავად]; და ოდიშის ერისთავად — ბედიანი. ლიხთ-ამერით: ქართლის ერისთავად — რატი სურამელი; და კახეთის ერისთავად — ბაკურ-ყმა ძაგანის-ძე; და ჰერეთის ერისთავად გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელის-ძესა დამცირედ ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და ჴელთ უდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა; და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი. და სხუანი ჴელის-უფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეფოსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისაებრ სახლისა"[72].

ჩვენი აზრით, ესაა სრული სია საქართველოში არსებული საერისთავოებისა და ერისთავებისა. და თუკი მოგვეპოვება ცნობა ამ სიაში მოუხსენიებელ საერისთავოზე (მაგ., ახალქალაქის ერისთავი კახა — ჰამამლუს წარწერაში), ეს უნდა იყოს მცირე საერისთავო, რომელიც შედიოდა დიდ საერისთავოში.

დიდი ერისთავები ოფიციალურ იურიდიულ ძეგლებში (დო-

---

[71] ჟამთააღმწერელი, გვ. 171.

[72] ისტორიანი და აზმანი, ქ. ც., II, გვ. 33—34. იხ. მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII სს-ში, 1970, გვ. 125.

კუმენტები, წარწერები) იწოდებიან ერისთავთერისთავებად, ხოლო ნარატიულ ძეგლებში — ერისთავებადაც არიან ხოლმე მოხსენიებულნი. ამრიგად, თამარის ისტორიაში (და იქიდან გადაღებულ „ხელმწიფის კარის გარიგების“ შესაბამის ადგილზე) ჩამოთვლილი ერისთავები — ერისთავთერისთავებია.

ვერნების წარწერაში, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი XII—XIII სს-ის მიჯნით ათარიღებს[73], ერისთავთერისთავადაა მოხსენიებული აბუსერიძე: „ქრისტე, ადიდენ ერისთავთ ერისთავნი გრიგოლ და აბუსერი და გიორგი და შვილნი მათნი: გიორგი, ზაქარია“ (წრწ. № 21, ტაბ. XXVI). თამარის ისტორიის სიაში ასეთი დიდი ერისთავი, ე. ი. ერისთავთერისთავი (არტანუჯის? აჭარის?) არ არის. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ან თამარის ისტორიკოსს გამორჩა ის ერისთავების სიაში, ან წარწერა სხვა დროისაა, და არა XII—XIII სს-ის მიჯნის. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები (კიდურწაისრულობა) ადასტურებს ამ უკანასკნელ ვარაუდს.

თამარის თანამედროვე კახა ერისთავის შესახებ შემონახულა ცნობა ჰამამლუს ეკლესიის წარწერაში: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ. ერისთავი კახაჲ“ (წრწ. № 12, ტაბ. XIII, სურ. 1).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კახას შვილიშვილი უნდა იყოს XIII ს-ის შუა წლებში ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ახალქალაქის ერისთავი კახა თორელი[74].

ერისთავთერისთავისა და ქართლის ამირთა ამირის აბულასანის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თბილისის „ლურჯი მონასტრის“ წარწერა (წრწ. № 14, ტაბ. XVI). ჩვენ არ ვიცით, თუ რომელი მხარის ერისთავთერისთავია აბულასანი (შეიძლება ერისთავთერისთავობა მხოლოდ ტიტულია გამგებლობის გარეშე). ცხადია, მხოლოდ ის, რომ აბულასანი არ შეიძლება იყოს ქართლის ერისთავთერისთავი (როგორც ამას მიიჩნევს შ. მესხია[75]), რადგანაც ამ პერიოდში, წყაროების მიხედვით, ქართლის ერისთავთერისთავი რატი სურამელია[76].

ამირა, როგორც ცნობილია, არაბობის დროიდან შემოსული

---

[73] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წლის ტექსტი, თბ., 1941, გვ. 23.

[74] აქვე, გვ. 45.

[75] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 133—134.

[76] ისტორიანი და აზმანი, ქ. ც., II, გვ. 32, 34.

ინსტიტუტია საქართველოში და ჩვენში დამკვიდრდა როგორც ქალაქის გამგებლის, ისე მხარის გამგებლის შინაარსით.

შემდგომში ამირობის ინსტიტუტის გვერდით შეიქმნა ამირთამირობის ინსტიტუტი, რაც გამოიწვია საქალაქო ცხოვრების განვითარება — გართულებამ[77]. პირველი ასეთი ამირთამირაა „ლურჯი მონასტრის" წარწერაში მოხსენიებული აბულასანი, რომლის ტიტული „ამირთა ამირა ქართლისა" გულისხმობს თბილისი ამირობასაც[78].

აბულასანი რომ ქართლის ამირთამირაა (და არა რუსთავის, როგორც ამას მიიჩნევს შ. მესხია[79]) ადასტურებს „ისტორიანი და აზმანის" ცნობა: „ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან"[80]. როგორც ჩანს, ამირობა და ამირთამირობა არის მისი კარიერის ორი სხვადასხვა საფეხური[81].

გარდა აბულასანისა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცულია ცნობები სხვა ამირებზეც. აბულასანისაგან განსხვავებით ისინი მოიხსენებიან არა ამირთამირად, არამედ მხოლოდ ამირად. ამირთამირა საქართველოს სამეფოში ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი იყო. ეს იყო სამეფოს დედაქალაქის გამგებელი[82].

დმანელი ამირა იობ მიხრიკის ძის შესახებ ცნობებს გვაწვდის დმანისის სტელის წარწერა: „...ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფობა გიორგისი. მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან დმანის ჩემსა ამირობასა შინა აღვჰმართე ჯუარი ესე..." (წრწ. № 19, ტაბ. XXI).

XIII ს-ში ცნობილია აგრეთვე ქალაქ კარის ამირა, რომელიც რუსუდანის თანამედროვეა. იგი მოხსენიებულია ყარსის ციხის წარწერაში:

„ქ(რონი)კ(ონ)სა უნზ
მე კარისა ამირამან აბრაჰამ (?)
აღვ(ა)შენე [ბურჯი (ბჯე?) ესე] მეფობასა
რ(უ)ს(უ)დან [დედოფლისასა]
წელსა მეფ[ობისა მისისა იე-სა]"[80].

[77] დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 204.
[78] იქვე, გვ. 202.
[79] შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 134.
[80] ისტორიანი და აზმანი, გვ. 36.
[81] ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი", ქართული ხელოვნება, 1948, გვ. 99.
[82] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 204.
[83] П. Мурадян, Грузинская эпиграфика Армении, Ереван, 1977, с. 80.

## დასკვნა

ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა დანიშნულების (მემორიალური, სამლოცველო, იურიდიული) და სხვადასხვა ფორმის ქვის (და ალბათ ხისაც) სტელები. ასეთები იყო:

1. წინაქრისტიანული ხანის ბრტყელი ქვის სტელები, რომელთაც მხოლოდ ერთი მხარე ჰქონდათ დამუშავებული, მემორიალური შინაარსის უცხოური (ბერძნული, არაბული) წარწერებით (მათ შორის იყო საფლავზე დადგმული სტელებიც).

2. „ქვაშვეთები" — ქრისტიანული ხანის ბრტყელი ქვის სტელები, ზედ წარჩინებულთა გამოსახულებით და მემორიალური შინაარსის წარწერებით ან უწარწეროდ (V—XI სს.).

3. „ჯვრები" — ქრისტიანული ხანის კვადრატული ფორმის ქვის სტელები, ჩასმული ქვისავე ბაზისში, ზედ ჯვრისა და სხვა რელიგიური სიუჟეტების გამოსახულებით, მემორიალური შინაარსის წარწერებით ან უწარწეროდ. სამლოცველო დანიშნულების (V—XI სს.).

4. „ჴელები" — მცირე რაოდენობით და განსაზღვრულ ტერიტორიაზე (თრიალეთ-ჯავახეთი) გავრცელებული ბრტყელი ქვის სტელები, ჩასმული კვარცხლბეკში. მათზე გამოქანდაკებულია ადამიანის მკლავი გაშლილი ხელის მტევნით, ზოგჯერ ჯვართან და სამეფო ნიშანთან ერთად (XII—XIII სს.).

5. „ქვაჯვარები" — ქვისაგან გამოქანდაკებული ჯვრები, სამანის დანიშნულებით (გვიანი შუასაუკუნეები).

„ჴელები" წარმოადგენდა ეპიგრაფიკული აქტების ერთ-ერთ სახეობას. „ჴელი" ძველ ქართულში ეწოდებოდა როგორც ადამიანის ხელის გამოსახულებიან სტელებს (XII—XIII სს.), ისე ხელის გამოსახულების გარეშე სხვადასხვა ნაგებობებზე ამოკვეთილ იურიდიულ წარწერას (X—XI სს.).

გარდა „ჴელისა", ქართული ეპიგრაფიკული აქტების ერთ-ერთი სახე იყო „დაწერილი" (XI—XIII სს.) (ტერმინი „წერა", როგორც სამართლიანად ვარაუდობს ნ. ბერძენიშვილი, თავდაპირველად სწორედ ქვაზე ტექსტის ამოკვეთას ეწოდებოდა).

ეპიგრაფიკულ აქტებს წარმოადგენს აგრეთვე ძველ საქართველოში სხვადასხვა ნაგებობებზე და სტელებზე ამოკვეთილი იურიდიული შინაარსის წარწერები, რომლებიც თვით წარწერის ტექსტში არ აღინიშნება არავითარი სპეციალური დიპლომატიკური ტერმინით.

„ჴელი“ უაღრესად გავრცელებული და სხვადასხვა შინაარსის მქონე ტერმინი იყო ძველ საქართველოში. „ჴელის“ თავდაპირველი მნიშვნელობიდან (ადამიანის მკლავი) წარმოიქმნა შემდეგ ხელისუფლების, პროფესიის, მაგიური, დიპლომატიკური და სხვა შინაარსის მრავალი ტერმინი (სწორედ ამიტომ თვით ადამიანის ხელის გამოსახულებაც, ძლიერ გავრცელებული ძველი საქართველოში სხვადასხვა ნაგებობებზე, ნივთებზე და სტელებზე, წარმოადგენდა უფლების, მაგიური, ხელოსან-შემოქმედის და სხვა შინაარსის სიმბოლოებს)

ხელის გამოსახულებიანი სტელების ნაწილს წარწერები ახლავს, რაც საშუალებას იძლევა დავათარიღოთ ისინი:

1. ლაშა-გიორგის „ჴელი“ (გუნია-ყალა) — 1202—1207 წწ.
2. თამარის „ჴელი“ (ჩხიკვთა) — 1195—1207 წწ.
3. თამარისა და ლაშას „ჴელი“ (პრტენა) — 1189—1202 წწ.
4. რუსუდანის „ჴელი“ (არხოტი) — 1222—1230 წწ.
5. [რუსუდანის ჴელი] (დიდი თონეთი) — 1222—1230 წწ.
6. მეფეთ-მეფის დავითის „ჴელი“ (სალამო) — 1259—1270 წწ.

რადგანაც ყველა წარწერიანი „ჴელი“ XII—XIII საუკუნეებისაა, სხვა უწარწერო ან დაზიანებულ წარწერიანი „ჴელიანი“ სტელები უნდა დათარიღდეს ანალოგიურად.

იმ „ჴელიან“ სტელებში, რომლებსაც ახლავთ წარწერები, მოხსენიებული არიან სხვადასხვა ისტორიული პირები — ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები:

1. სამეფო დომენის მესაკუთრენი: მეფე და უფლისწული,
2. სამეფო კარის უმაღლესი რანგის მოხელეები,
3. სტელის აღმართვის ტექნიკური შემსრულებლები: სამუშაოს ხელმძღვანელი და ხელოსანი.

„ჴელიანი“ სტელები წარმოადგენს სამეფო მიწათმფლობელობის დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებს, შედგენილს განსაზღვრული დიპლომატიკური წესით:

1. ხელის გამოსახულება, როგორც მეფის ძალაუფლების სიმბოლო.

2. ზოგჯერ ჯვრის გამოსახულება — ქვაზე ამოკვეთილი აქტების ქრისტიანულ ეპოქაში შემოსული ქვის სტელების ნიშანი.

3. ზოგჯერ სამეფო ძალაუფლების გამომხატველი სიმბოლო (დადასტურებულია აგრეთვე ამ პერიოდის ბპილენძის მონეტებზე).

4. წარწერებში მეფის და ზოგჯერ უმაღლესი სამეფო კარის მოხელეების მოხსენიება.

„ჭელიანი“ სტელების გავრცელება XII—XIII სს-ში თრიალეთ-ჯავახეთში აიხსნება იმით, რომ ეს ტერიტორია ამ პერიოდში წარმოადგენდა სამეფო დომენს, რაც დასტურდება სხვა წყაროებითაც.

ეს პროვინციები თავის მდებარეობით (სტრატეგიული და სავაჭრო-სამიმოსვლო გზებით) განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ იყო ამ პროვინციების დაუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა X—XI სს-ში ცენტრალურ ხელისუფლებასა და გარეშე თუ შინაურ მტრებს შორის (ბიზანტია, ბაღვაშები).

XII ს-ში ეს ტერიტორია სახელმწიფო მამულია, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული მოხელე—ერისთავი მართავს. XII—XIII სს-ის მიჯნაზე თრიალეთი და ჯავახეთი სამ ნაწილად არის დაყოფილი: 1. სამეფო დომენი; 2. საერისთავო (ახალქალაქის საერისთავო) და 3. ფეოდალური მამული (თმოგვი, წუნდა).

სამეფო დომენის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდნენ უხუცესი ვაზირები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ სახელმწიფოს მმართველობაში. ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სამეფო კარზე წამოიჭრებოდა, მეფე განიხილავდა უწყების გამგე უხუცესებთან—ვაზირებთან ერთად.

უხუცეს-ვაზირთა და სამეფო დომენის გამგებელი ერისთავების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ერისთავებსა და ამირებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხების კვლევისას ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეპიგრაფიულ მასალას, ხოლო ამ პერიოდის ეპიგრაფიული ძეგლები შეიცავენ უაღრესად ზუსტ და სანდო ცნობებს, რაც დასტურდება მათი შეჯერებით სხვა სახის წყაროებთან.

ამრიგად, განხილულ ეპიგრაფიკულ მასალას სიცხადე შეაქვს XII—XIII სს-ის მიჯნის სამეფო მიწისმფლობელობისა და სახელმწიფო მმართველობის საკითხების გაშუქებაში.

# ტექსტები

## 1

### 1195—1207. ჩხიკვთის სამების ეკლესია. ჴელი თამარისა

სსმ—442; რუხი ფერის ქვის სტელა, ზომით 138X96X30—40*, ფილის მარცხენა მხარეს გაშლილი ხელის რელიეფური გამოსახულებაა, ხოლო მარჯვენა მხარეს ასევე რელიეფური, ქვედა მკლავდაგრძელებული ჯვარი. ხელისა და ჯვრის გამოსახულების შუა ამოღარულია თოთხმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ზომით 89×62—78; გრაფემების სიმაღლე—3,5—4. შემორჩენილი ტექსტის ფრაგმენტი და ხელის გამოსახულება მოწმობს, რომ სტელა თავისი წარწერით წარმოადგენს ეპიგრაფიკულ საბუთს — „ჴელს". იგი აღმოჩენილია თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. ჩხიკვთაში. სსმ-ში ჩამოტანილია 1959 წ., პ. ზაქარაიძისა და ნ. შოშიაშვილის მიერ; განკვეთილობის ნიშნები — წერტილი ან ორწერტილი ქარაგმის ნიშანი — განივი კლაკნილი ხაზი (ტაბ. II).

დ ა ზ ი ა ნ ე ბ ა: სტელის ზედაპირის გადარეცხვისა და გამოფიტვის გამო წარწერა ძალიან დაზიანებულია**.

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: 1. წარწერის შინაარსი—თამარ მეფისა და ზაქარია ამირსპასალარის მოხსენიება მასში. 2. სტელის სახე — „ჴელი".

---

* ზომები ქვემოთ ყველგან აღნიშნულია სანტიმეტრებში.

** №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 10, 11 წარწერების ტექნიკური აღწერილობისათვის ზოგიერთი ცნობა მოგვაწოდა ვ. სილოგავამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.



სურ. 1.

1. + ႱႠ[ႾႪႧႠ]
2. Ⴖ[ႧႠ]ႣႫႭႾႡႧႠ
3. ႼႫႣ[ႱႠ]ႶႫႸႡႪႨႱႠ
4. ႧႠႫႰႼႫ[Ⴌ]ႶႬႧႠ
5. ႫႰႱ[ႰႠႨჁ]ႸႼႷႪႬႤ
6. ႱႣႨ[ႣႡႪႣ]ႹႬႱ[ႪႱ]
7. Ⴇ[Ⴅ]ႨႱႫႫႱႠႣႱ—ႠႣ
8. ႦႰႠႠႫႨႰႱႮႱႪႰႱႨႧႠႣႽ
9. ႷႭႬႣႨႪႨႱႨႧႠႣႫႱႾႳႰႧ
10. Ⴓ[ႾႺ]ႱႱႧႠႨႥႤ(Ⴛ)ႫႱႦႵႨႱႨ
11. Ⴃ---ႨႽႱႨႣႤႪႨႱႨႣႳႡႰႻႬႤႱႽႤႪႨ
12. Ⴃ--ႾႤႱႭႬႸႫႼႣႭ:--Ⴑ--Ⴃ--
13. ႨႱႫ-Ⴍ-ႨႱ-ႤႣႤ------
14. ႱႮႬႨႫႱႱ---ႤႣႣႭႴ

---

8 ႠႫႨႰႱႮႱႠႰႱႨႧႠ წრწ;

სა[ხ(ე)ლ(ი)თა /2 ღ(მრ)-[თ(ისაჲთ)ა] და მ(ე)ოხ(ე)ბ(ი)-თა /3 წმ(ი)დ(ი)[სა] ღ(მრთის)-მშ(ო)ბლისა(ჲ) /4 თა მ(ა)რწმ(უ)-[ნ](ა) ღ(მერთმა)ნ თა /5 მ(ა)რს [რაიჱ(ა)] შ(ევი)წყ(ა)ლნე /6 ს(ა)-[დიდ(ე)ბლ(ა)დ] ჩ(უე)ნ(ისა) ს(უ) [ლ(ი)ს] (ა) /7 თ[ვ]ის მ(ა)მ(ი)-სა და ს- ად(?) /8 ზ(აქა)რ(ი)ა ამირსპ(ა)ს(ა)ლ(ა)რ(ი)სითა და ჭ /9 ყონდი(დ)ლისითა /9 და მს(ა)ხურთ /10 უ[ხ(უ)ც (ე)ს-(ი)ს(ი)თა ი(ო)ვ(ან)ე [ძ]მ(ი)სა ზ(ა)ქ(არ)ი(ა)სი/11 დ...ი ჭ(ყონდი-დელი)სი და უბრძ(ა)ნეს ჭე-ლი/12 დ. ხესონ შ(ე)მწ(ე)დ ო.. ს.. დ../13 ისმო — ის— ედე—/14 სპნიმსს... ედდოფ

## 2

## 1189—1202 პრტენა. ჯელი თამარისა და ლაშასი

სსმ—520. რუხი ფერის ქვის სტელა, ზომით 102×60×35. სტელის სამი მხარე ტლანქად არის დამუშავებული. მის წინა მხარეზე ფონი დადაბლებულია ნახევართაღის სახით და მასში ამოკვეთილია გაშლილი ხელის მტევანი. სტელაზე ამოღარულია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: პირველი სამი სტრიქონი — ნახევართაღის არეში ხელის გამოსახულების გარშემო, ხოლო ბო-



სურ. 2.

ლო ორი სტრიქონი — ამ არის გარეთ, ქვემოთ. ამ ორი სტრიქონის ფართი — 45×15; გრაფემების სიმაღლე — 5—7.

წარწერა ამოკვეთილია სტელაზე და ახლავს ხელის გამოსახულება, რაც მოწმობს, რომ ეს სტელა თავისი წარწერით წარმოადგენს მიწისმფლობელობის ეპიგრაფიკულ საბუთს—„ჯელს". წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული, ქარაგმის ნიშნად ნახმარია მოკლე, განივი სწორი ხაზი.

წარწერიანი სტელა 1956 წელს ჩამოიტანეს სსმ-ში ახალქალაქის რ-ნის სოფ. პრტენადან, სადაც ის ჩაშენებული ყოფილა ბაგრატ ადვიძის სახლის კედელში (ტაბ. III).

წ ა რ წ ე რ ი ს   დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა   წ ი ნ ა   გ ა მ ო ც ე მ ა ш ი: 1207—1213 წწ. (ყოველ შემთხვევაში, თარიღის ქვედა ზღვარი 1193 წელზე — ლაშა-გიორგის დაბადების წელზე ადრე არ გადაიწევს) (ც).

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი   დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს   ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია ლაშას დაბადება (1189 წ.), ხოლო ზედა — ლაშას თანამოსაყდრედ კურთხევა (1202 წ.)

გ ა მ ო ც ე მ ა: (24), ვ. ცისკარიშვილი, 66, ტაბ. VIII (დედნ. შრიფტ.; მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო.) (ც).

| | |
|---|---|
| 1. ✝ ႨႳႵႤ | ✝ ი(ეს)უ ქ(რისტ)ე,/[2] ა(დი) |
| 2. Ⴀ ႣႤ | დე/[3] თ(ა)მ(არ) დ(ა) ძე/[4] მ(ა)- |
| 3. ႧႫ ႻႤႤ | თი ლ(ა)შა. შე(ი)წყ(ა)ლ(ე)/[5] |
| 4. ႫႧႨႪႸႠႸႤႼႷႪ | ბ(ეშქე)ნ, გ(უ)რგ(ენ*, კ(ჳრი- |
| 5. ႡႬႢ̃ႰႢႩႱႻႤႬႨ | კე)ს** ძენი. |

1. ✝ ႨႳႵႤ]—ც;

[1] ✝ იესუ ქრისტე]-ც; 5. ბეშქენ, გურგენ კჳრიკეს] ბნ გრ გკს (გამრეკლის?) ც;

* გრგ შეიძლება წავიკითხოთ აგრეთვე როგორც: „გ(იო)რგ(ი)", ან „გრ(ი)გ(ოლ)".

** კს შეიძლება წავიკითხოთ აგრეთვე როგორც: „კ(ოსტანტინე)ს".

## 8

### 1202—1207. ბუნია-ყალა. ჯელი გიორგი მეფეთა მეფისა

სსმ—173. მოვარდისფრო ქვის ოთხკუთხად გათლილი სტელა, ზომით 133×80×20. სტელის ზედაპირზე, მის შუა ნაწილში

გამოსახულია დაბალი რელიეფით შესრულებული გაშლილი ხელი. ხელს ქვემოთ წარმოდგენილია სამეფო ნიშანი. ორივე ეს გამოსახულება ჩასმულია თაღოვან ლილვისებურ ჩარჩოში. მის მარცხნივ და მარჯვნივ ამოღარულია ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ისე რომ სტრიქონები გადადის ჩარჩოს ერთი გვერდიდან მეორეზე. წარწერაცა და ჩარჩოც, ხელისა და სამეფო ნიშნის გამოსახულებით, თავის მხრივ, ჩასმულია შეწყვილებული ლილვის ჩარჩოში. წარწერის ფართობი: მარცხენა მხარეზე —43,5×11,5; მარჯვენა მხარეზე—40×9,6 გრაფემების სიმაღლე — 2,5—3. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშნად ნახმარია კლაკნილი, კიდურწერტილოვანი, განივი ხაზი. დამწერლობა — კიდურწერტილოვანი. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არაა (ტაბ. IV, სურ. 1).

სტელა აღმოჩნდა 1936 წელს, წალკის რ-ნის სოფ. გუნია-ყალაში. იმავე წელს სსმ-ში გადმოიტანეს გ. ჩიტაიამ და ნ. რეხვიაშვილმა ([20], 25, 26).

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში: 1. რუსთაველის ეპოქა (ბ—ჩ). 2. 1207 წლის ახლოს (მ); 3. 1207—1212 წწ. (ი, ბ); 4. თამარისა და გიორგი ლაშას მეფობის პერიოდი (M) 5. XIII ს. (ც); 6. თამარის მეფობის უკანასკნელი პერიოდი (ჩრძ); 7. 1206 წ. (ს).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: 1. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები; 2. წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ კურთხევა (1202 წ.), ხოლო ზედა— თამარ მეფის გარდაცვალება (1207 წ.).

გამოცემები: 1. (2), ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, 19 (მხედრ. ტრანსკ.; ფოტო) ბ-ჩ) 2. (19) ლ. მუსხელიშვილი, 36—37 (მხედრ. ტრანსკ;) (მ) 3. (3), ა. ბაქრაძე, 221, სურ. 1 (დედნ. შრიფ.: მხედრ. ტრანსკ; ფოტო) (ბ); 4. (28), Л. Меликсет-Бек 125 (რუს; ფოტო) (M); 5. (20), ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, № 26 (173), 25—26, ტაბ. XII, 1—2 (დედნ. შრიფ; მხედრ. ტრანსკ; ფოტო) (ს); 6. (24), ვ. ცისკარიშვილი, 79 (მხედრ. ტრანსკ;) (ც); 7. (11), პ. ინგოროყვა, 568—569 (მხედრ. ტრანსკ.) (ი); 8. (8), ნ. ბერძენიშვილი, 160 (მხედრ. ტრანსკ.) (ბრძ); 9. (12), ს. კაკაბაძე, 307 (მხედრ. ტრანს.) (კ);

1. ႱႾႪႨႧႶႢ ႡႡႨႧႠ
2. ႧႨႱႱႼႭႰ ႧႧႫႰႱ
3. ႣႠႢႨႱႧ ႽႱႦႵႠ
4. ႰႨႠႸႪႥ ႭႥႱႷႫ
5. ႥႹႤႱႨႧႠ ႿႪႡႢႱ
6. ႫႭჃႨႰႥ ႤႡႨႧႠ
7. ႱႬႭႡႢႱ ႻႨႱႠႨႬႢ
8. ႱႠႷႪႨႧ ႣႢႱႠႩႪ
9. ႨႤႱႤႶႧႱ ႱႼႰႧႠ
10. ႫႴႧႫႴ ႨႱႢႨႱႨ



სურ. 3.

1. ႡႡႨႧႠ] ႢႢႨႧႠ ბ; 5. ႿႪႡႢႱ] ႿႪႡႠႱ ს, ႿႪႢႢႱ ბ; 6. ႫႭჃႨႰႥႤႡႨႧႠ ბ; 7. ႱႬႭႡႢႱ ႻႨႱႠ] ႱႬႭႢႨႱ ႫႨႱႠ ბ; 8. ႷႪႨႧ] ႷႪႨႧႠ ბ; 9. ႱႼႨႧႠ ბ;

ს(ა)ხ(ე)ლით(ა) ღ(მრთისა)ჲ(თა), ბ(რძანე)ბითა /[2] (ღმრ)თის სწორთ(ა) თ(ა)მ(ა)რ(ი)ს(ა) /[3] და გ(იორგ)ის(ი)თ(ა), ჭ(ყონდიდელი)ს, ზ(ა)ქა /[4] რია, შ(ა)ლვ(ა), ოვს(ი)ყმ(ა) /[5] ვ(ა)ჩესითა, ჯ(ა)ლ(ა)ბ(ა)ჲს /[6] მოჳირვებითა,/[7] ს(ა)ნობ(ა)ჲს ძისა ინ(ა)ჲ [8]/ სა კ(ე)ლითა დ(ა)ჲს(უ)ა კ(ე)ლ/[9]ი ესე ღ(მრ)თ(ი)ს(ა) სწ(ო)რთა /[10] მ(ე)ფ(ე)თ მ(ე)ფის(ა) გ(ი-ორგ)ჲსი.

---

2 ღმრთისა ბ, ც, ს, ი; სწორთ თამარის ბრძ; თამარის ს; 3. ჭდონდიდელისა ი, ბ, ც; 4. ოვსიყმა] ოვსე-ყმა ი, ისიყმა ბრძ; 5. ვაჩესითა] ივანესითა ი, მ; ჯალაბაჲს] ჯულაბაჲს ი, ბ, ც, ხ, ბრძ; 6. მოჳირვებჲთა] მოჳირვებითა ი, ბ, ც, ს. 7 ინაჲსა] ინაჲს ი; 8. დაჲსუა] დაჲსვა ბრძ; 9. ღმრთის ბრძ. ღმრთჲს ბ. გიორგჲსი] გიორგისი ი, ბ, ც, ს;

## 4

## 1222—1230. არხოტი. ბრძანება რუსუდან მეფისა

სსმ—303. რუხი ფერის ქვის სწორკუთხა ფილა, ზომით 30×108×18. სტელას ირგვლივ შემოუყვება სწორკუთხა, რელიეფური ჩარჩო, რომელიც ზედა ნაწილში სამ ნახევართაღად არის დაყოფილი. შუა ნახევართაღის გასწვრივ მოცემულია გაშლილი

ხელის რელიეფური გამოსახულება. ხელის ორივე მხარეს, ორი დანარჩენი ნახევართაღის პირდაპირ, წარმოდგენილია ქვედამკლავ-დაგრძელებული ორი რელიეფური ჯვარი. სტელის ქვედა ნაწილში გამოკვეთილია ოთხკუთხა ფეხი, რომლითაც ის ჩამაგრებულია რუხი ფერის ქვის სადგამში, ზომით 107×35×52. ჯვრებსა და ხელის რელიეფებს შორის, მათ ქვემოთ და ჩარჩოზე ამოღარულია ასომთავრული წარწერა, რომელსაც ახასიათებს შეწიალება. გრაფემების ზომა — 2—10. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ადგილ-ადგილ (იწყება „რუსუდანის“ შემდეგ). ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი.

წარწერიანი სტელა აღმოჩენილია სოფ. არხოტში (თეთრი-წყაროს რ-ნი) იგი ვერტიკალურად იდგა შუა სოფელში, წყაროსთან, პირით სამხრეთისაკენ. სსმ-ში ჩამოტანილია 1950 წელს პ. ზაქარაიასა და ს. ბოლქვაძის მიერ (ტაბ. IV, სურ. 2).

წ ა რ წ ე რ ი ს  დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა  წ ი ნ ა  გ ა მ ო ც ე მ ა შ ი: 1. XIII ს-ის დასაწყისი (ც, M); 2. 1222—1245 წწ. (ს, დ).



სურ. 4.

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი  დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს  ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: წარწერის შინაარსი—დაწერილია რუსუდანის მეფობაში დავით ნარინის თანამოსაყდრედ კურთხევამდე.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: 1. (13), ლ. მელიქსეთ-ბეგი, 77 (მხედრ. ტრანსკ;) (მ); 2. (20), ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, № 58, ტაბ. XIII, I. (დედნ. შრიფ; მხედრ. ტრანსკ; ფოტო) (ს); 3. (29), Л. Меликсет-Бек, 123, სურ. 21 (რუს; ფოტო;) (M); 4. (24), ვ. ცისკარიშვილი, 79 (მხედრ. ტრანსკ;) (ც); 5. (21), ი. დოლიძე, 36 (მხედრ. ტრანსკ;) (დ);

1. Ⴜ´Ⴢ Ⴂ´Ⴈ
2. ႩႥႧႱ´Ⴢ
3. + ႤႱႤ ႡႰႻႬႤႡႠჂ ႹႤႫჂ
4. ႠႰႱ ႰႳႱႳႣႬ : ႬႤႡ
5. ႨႧႠ : ႶႧႱႠႨႧႠႠ
6. [Ⴆ]ႠႣႠႣ : ႣႠ ႸႤႳႪႨ : ႠႰႱ : ႫႠ[Ⴋ]ႳႪႨ
7. ႫႧႨ : ႬႱႷႣႨႧ : Ⴃ[ႸႼ]
8. ႰႪႨႧႠ : ႱႼႱႭ : ႬႳႥႨႬ : ႸႪႧ : ႡႡჂ

---

1. Ⴜ´Ⴢ]ႼႣ ს; 2. ႩႥႧႱ´Ⴢ] ႩႥႧႱႠ ს; 3. ႡႰႻႬႤႡႠჂ] ႡႰႻႬႤ-ႡႠ ს; 6. ႫႠႫႳႪႨ] [- - -] ႳႪ [- - -] ს; 7. ႣႸႼႰႪႨႧႠ] ႣႠ ႷႭ-ႥႪႨႧႠ ს; 8. ႡႡႣ ს;

წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი /[2] კ(ა)ვთ(ი)სჲ. /[3] + ესე ბრძ(ა)ნებაჲ ჩემჲ /[4] არს, რუსუდ(ა)ნ: ნებ/[5]ითა ღ(მრ)თ(ი)საითა ა /[6] [ზ]ადად და შეუ(ვა)ლი არს მა[მ]ული /[7] მ(ა)თი, ნ(ა)სყ(ი)დით დ(ა) შ(ე)წ(ი) /[8] რ(უ)ლითა. ს(ა)წ(ე)სო ნუ ვინ შ(ა)ლ(ო)თ. ბ(რძანე)ბ(ა)ჲ.

---

[1] წმიდაჲ] წმიდაო ს, დ, წმინდაო ც, წმიდაი მ; [2]. კავთისჲ] კავთისაო ს, დ, ც, კავთისი მ; 3 ბრძანებაჲ] ბრაძნებაი მ, ც, დ; ჩემჲ] ჩემი მ, ს, ც, დ; [6] შეუვალ დ. 7. შეწირულითა] ყოვლითა მ, ს, დ, ც; 8. საწესო] სამწყსო მ, ც, საწესოთ დ; შალოთ] შეარყიოს მ, ც, შალავთ ს, დ; ბრძანებაჲ] — მ, ც, ბრძანებასა ს, დ; -] ამას ს, დ;

## 5

## 1222—1230. ᲗᲝᲜᲔᲗᲘ [ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲯᲔᲚᲘ]

სსმ—117. რუხი ფერის ქვის ფილა, 45×66×14,5. ფილის შემორჩენილ ნაწილს შემოუყვება ამაღლებული ბრტყელი ჩარჩო.

ფილაზე ამოღარულია ასომთავრული წარწერა, რომლიდანაც შემორჩენილია 6 სტრიქონი; გრაფემების სიმაღლე — 5,5×6. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშნად ნახმარია მოკლე, განივი, სწორი ხაზი. სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული.

აღმოჩენილია დიდი თონეთის (თეთრი წყაროს რ-ნი) სამხრეთით მდებარე პატარა ეკლესიის ნანგრევებთან, ვერტიკალურად მდგარი. თბილისში ჩამოტანილია ექ. თაყაიშვილის მიერ.

დაზიანება: ფილის ზედა ნაწილი და ქვედა მარცხენა კიდე ჩამოტეხილია, რის გამოც წარწერას დასაწყისი აკლია. ზედა ნაწილზე შემორჩენილია რელიეფური გამოსახულების ნაშთი, რომელიც შეიძლება ჯვრის ქვედა მკლავის ან ხელის გამოსახულების ქვედა ნაწილი იყოს (ტაბ. V).

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში: არხოტის წარწერის თანადროულია (M;)

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: წარწერა პალეოგრაფიულადაც და შინაარსითაც ემსგავსება არხო-



სურ. 5.

ტის წარწერას. ის უნდა იყოს რუსუდან მეფის ბრძანება, არხოტის წარწერის თანადროული.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: 1. (32), Е. Такайшвили, 130 (დედნ. შრიფ; მხედრ. ტრანსკ; რუს; ფოტო (თ); 2. (33), Е. Такайшвили, 130, სურ. 4 (დედნ. შრიფ; მხედრ. ტრანსკ; რუს; ფოტო;) (თ¹); 3. (20), ა. ბაქრაძე, ნ. ბოლქვაძე, № 19, ტაბ. XV, 3 (დედნ. შრიფ; მხედრ. ტრანსკ; ფოტო;) (ს); 4. (29), Л. Меликсет-Бек, 124 (რუს;) (M);

1. ---- Ⴑ| |Ⴋ ---
2. [Ⴑ] ჄႧႠ ႶႢႧႠႠႦႣ
3. [ႣႠ ႸႤႥႪႬႨႠ ႤႱႤ ႩႥ~Ⴇ
4. ႱႢႪႾႬႨႬႣႰ~ႱႻႤႬႨ
5. ႱႠႱႴႪႭႱႠႱႫႱႾ
6. ႭႰႨႱႠႢႠႬ

——— ს||მ———/² [ს](ა)ხ(ელი)თა ღ(მრთისა)ჲთა აზ(ა)დ /³ და შე(უ)ვ(ა)ლნია ესე კ(ა)ვთ(ი) /⁴ს გლ(ე)ხნი ნ(ა)დ(ი)რ(ა)ს ძენი /⁵ სას(ო)ფლო(ჲ)სა ს(ა)მს(ა)ხ/⁶ურისაგან.

---

1. ---- ႱႫ ---] +ႱႠႾ(ႥႪ) თ, თ¹, --- Ⴑ --- ს; 2. ႱႾႭႠ]ႭႠ თ, თ¹, ს; ႠႦႣ] ႠႦႠႲ] თ, თ¹, ႠႦႠ ს; 3—4. ႩႥႭႨႱ თ, თ¹; ႱႠ-ႱႴႪႭႱႠ თ, თ¹, ს;

---

1. ————ს//მ———]—თ, თ,¹ ს; 2. აზად] აზატ თ, თ¹ ს;. 5. ႱႠႱႴႪႭႱႠ წრწ; სასოფლოსა თ, თ¹, ს; 6. სამსახორისგან წრწ.

6

## 1259—1270. ᲡᲐᲚᲐᲛᲝ. ᲯᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ

